

# სამოქალაქო დიპლომატია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში

## CIVIL DIPLOMACY IN THE GEORGIAN-ABKHAZ CONFLICT



**სამოქალაქო დიპლომატია  
ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში**

---

**CIVIL DIPLOMACY  
IN THE GEORGIAN-ABKHAZ CONFLICT**



ასოციაცია  
“სამართალი და თავისუფლება”  
2011

## სარედაქციო კოლეგია:

ავტორი:

**ტატო ხუნდაძე**

რედაქტორები:

**თამარ ხელაძე  
ირაკლი სესიაშვილი**

თარგმანი:

**ლია მამნიაშვილი**

ინგლისური ტექსტის რედაქტორი  
**ვინსენტ ბოივინი**

ტექნიკური რედაქტორი:

**ირაკლი სვანიძე**

აიწყო და დაკაბადონდა  
ასოციაციაში “სამართალი და  
თავისუფლება”



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

გამოცემულია ფონდ “ღია საზოგადოება -  
საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

---

© 2011. ასოციაცია “სამართალი და თავისუფლება”  
ISBN 978-9941-0-3783-2

## მიმოხილვა

პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება და კონფლიქტის ტრანსფორმაცია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“-ს ფინანსური მხარდაჭერით, ასოციაციამ „სამართალი და თავისუფლება“ ჩაატარა კვლევა „სამოქალაქო დიპლომატია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით არსებული სამოქალაქო ინიციატივების კვლევა და კვლევის შედეგების გავრცელებით საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება. კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა პასუხი გაცეცა შემდეგ კითხვებზე: რა იყო მიზეზი საქართველოში არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის შეფერხებისა ან მისი განუხორციელობის? იყო თუ არა ეს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების არარელევანტური საქმიანობის შედეგი? მოცემული კვლევა ეფუძნება ადგილობრივი და საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზსა და გამოკითხული ექსპერტების ინტერვიუებს (სულ 15 რესპონდენტი). კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულ იქნა ფოკუს ჯგუფის მეთოდი, რომელშიც ჩართული იყო ხუთი ექსპერტი. ნაშრომში მოცემულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს. ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის კვლევას თან ახლავს რეკომენდაციები, რომლებიც ეფუძნება კვლევის შედეგებსა და ძირითადად მიგნებებს.

წინამდებარე კვლევა ძირითად განკუთვნილია იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ჩართული არიან საქართველოში მშვიდობის მშენებლობის პროცესში, ასევე, მოცემული ნაშრომი საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს იმ სამთავრობო, საერთაშორისო ინსტიტუტებისა და დაინტერესებული პირებისთვის, რომლებიც დაკავებული არიან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებით.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე კვლევა გამოიწვევს საზოგადოებრივ დისკუსიებსა და წაახალისებს ახალი ნაშრომებისა თუ იდეების შექმნას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ.

## თავი I შესავალი

კონფლიქტოლოგიაში მეცნიერთათვის ერთ-ერთ საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს როგორც სამოქალაქო აქტორები, ასევე მათი როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში.

ამ თემის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რასაც თან სდევდა „ახალი ტიპის“ კონფლიქტების წარმოქმნა. უზარმაზარი იმპერიის რღვევამ შეუქცევადი პროცესები გამოიწვია ახლად შექმნილი სახელმწიფოების შიგნით, რაც გამოიხატა სეცესიონისტური მოძრაობების გააქტიურებასა და მმართველ ელიტებს შორის მკვეთრ დაპირისპირებებში. საბჭოთა რესპუბლიკების სწრაფვამ დამოუკიდებლობისკენ და ეთნიკური ნაციონალიზმის გააქტიურებამ, გაამძაფრა მცირე ეთნოსების შიში და გააღრმავა გაუცხოება „ტიტულური“ ერების მიმართ. თავის მხრივ, რუსეთმა, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლობდა იმედი იმპერიის შენარჩუნებისა, გამოიყენა ზემოთქმული ტიპის კოლიზიები თავის სასარგებლოდ. შედეგად, პოსტ-საბჭოთა სივრცეში მივიღეთ ხუთი „ახალი ტიპის“ კონფლიქტი, უზარმაზარი მსხვერპლი, ასიათასობით დევნილი და საფრთხე კონფრონტაციის განახლებისა<sup>1</sup>.

„ცივი ომის“ დროინდელი ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა თვისობრივად განსაზღვრავდა მსოფლიოში არსებული კონფლიქტების ტიპებსაც. სისტემის ორ პოლუსს შორის იდეოლოგიური კონფრონტაცია იწვევდა მსოფლიოს მასშტაბით ცხელი წერტილების წარმოქმნას, რაც ცხადაა, პირველ რიგში, გამომდინარეობდა ამ სახელმწიფოების გავლენის გაძლიერების თუ გაფართოების სურვილიდან, რომლის ფარგლებშიც იდეოლოგიური მიდგომები გამოყენებული იყო როგორც კონფლიქტების მმართველის ინსტრუმენტი<sup>2</sup>.

„ახალი ტიპის“ კონფლიქტების წარმოშობამ, რომლებიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსხვავდება „ცივი ომის“ პერიოდის დაპირისპირებებისგან, დღის წესრიგში დააყენა კონფლიქტების დარეგულირების კუთხით ახალი მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობა.

თანამდეროვე მსოფლიოში, სადაც ადგილი აქვს სახელმწიფოების მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას და გლობალიზაცია შეუქცევად სახეს იღებს, სულ უფრო თვალსაჩინო ხდება არასახელისუფლებო მოთამაშეების

<sup>1</sup> შედარებისთვის იხ. ABKHAZIA: DEEPENING DEPENDENCE, p. 8 [http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/202\\_abkhazia\\_deepening\\_dependence.ashx](http://www.crisisgroup.org/~media/Files/europe/202_abkhazia_deepening_dependence.ashx).

<sup>2</sup> რასაკვირველია არსებობს გამონაკლისებიც ეთნო კონფლიქტების წარმოშობის კუთხით. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ კვიპროსისა და რუანდის კონფლიქტები. თუმცა, როგორც ზემოთ ავლენიშნეთ, ძირითადად მაინც სახეზე იყო იდეოლოგიური კონფლიქტები.

ზეგავლენა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. საზოგადოების აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ქმნის რეალობას, სადაც პირველ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები უცილოდ მოითხოვს მათ ლეგიტიმაციას ქვედა რგოლში. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ თანამედროვე ლიბერალურ-დემორატიულ საზოგადოებაში უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების არალეგიტიმურობა წარმოადგენს პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთ წინაპირობას.

ზოგად პოლიტიკურ კონტექსტში არსებულმა ცვლილებებმა გამოიწვია რეალ-პოლიტიკისგან განსხვავებული პარადიგმების ნახალისება (მაგალითად, კონსტრუქტივისტული ხედვა). ამით აიხსნება ისეთი თეორიებისა და მიდგომების პოპულარიზაცია, როგორც კონფლიქტის „მართვა“, „ტრანსფორმაცია“ და „მოგვარება“. ეს თეორიები მორგებულია თანამედროვე რეალებს და ითვალისწინებენ სამოქალაქო საზოგადოების უდიდეს მნიშვნელობას პოლიტიკური ცვლილებების პროცესში. სწორედ ამ თეორიებს უკავშირდება კონფლიქტოლოგიაში როგორც კოოპერაციაზე დაფუძნებული იდეების კულტივირება, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდა კონფლიქტების დარეგულირებაში.

თუმცა აღსანიშნავია, რომ რეალობაში ამ მიდგომებმა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების საქმეში შედეგი ვერ მოიტანა. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაციის კუთხით გადადგმული ნაბიჯების არაეფექტურობა.

საქართველოში წარმოქმნილმა ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა დიდი ყურადღება მიიპყრო მსოფლიო საზოგადოების მხრიდან, თუმცა მხოლოდ მათი დასრულების შემდგომ და არა მათ აქტიურ ფაზაში. შემოვიდა უამრავი საერთაშორისო სამთავრობოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა მიზანს წარმოადგენდა მშვიდობის მშენებლობა და რეგიონში სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება.

მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაღებული ძალისხმევის მასშტაბურობისა, მაინც ვერ მოხერხდა დაპირისპირებულ საზოგადოებებში სამშვიდობო კულტურის ჩამოყალიბება, რისი თვალნათელი დადასტურებაცაა შერიგების პროცესის მიმართ ამ საზოგადოებებში არსებული არასტაბილური და რიგ შემთხვევებში ნეგატიური დამოკიდებულებები, რასაც თან სდევდა პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში კონფლიქტის ზონებში მომხდარი ძალადობის ფაქტები.

განვიხილოთ პერიოდში ხელშესახები შედეგების ვერმიღწევა ბუნებრივად აჩენს კითხვებს, რომელზეზეც პასუხის გაცემის გარეშე შეუძლებელია პროგრესის მიღწევა. აუცილებელია გაირკვეს, თუ რა იყო მიზეზი საქართველოში არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის შეფერხებისა ან მათი განუხორციელობისა? იყო ეს ხელისუფლებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების არარელევანტური საქმიანობის შედეგი? თუ პროცესის შეფერხების მიზეზების ახსნა უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს?

წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, გაარკვიოს, თუ რა ხელშემშლელი ფაქტორები არსებობდა საქართველოში არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაციისათვის და რა არის მიზეზი სამოქალაქო სექტორის აქტივობის (სამოქალაქო დიპლომატიის) დაბალი შედეგიანობის. ამ ამოცანის შესასრულებლად გამოვყავით ოთხი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც სარგებლობდნენ მაღალი რეპუტაციითა და ნდობით კონფლიქტით გახლეჩილ ორივე<sup>3</sup> საზოგადოებაში. ეს მეთოდი ითვალისწინებს არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებას, არამედ, ძირითადად, მათი ადგილობრივი პარტნიორების აქტივობაზე დაკვირვებასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას.

წინამდებარე კვლევაში, პირველ რიგში, გამოვყოფთ კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში კონცეპტუალურად რა ადგილი გააჩნია სამოქალაქო საზოგადოებას, შემდგომ ეტაპზე ოთხი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის შესწავლის ფარგლებში განვიხილავთ საქართველოსა და აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების აქტივობას, საბოლოო ჯამში, მოვახდენთ შედარებით ანალიზს თეორიას და პრაქტიკას შორის. კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიული მოდელი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის მეთოდები, საშუალებები, საზღვრები, პრობლემათა მიზნები, შემდგომში შედარებითი ანალიზის საშუალებით წარმოვაჩინოთ ტენდენციები და შეზღუდვები ადეკვატური დასკვნებისათვის.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში აქტიურად გამოვიყენეთ ფოკუს ჯგუფისა და ჩალრმავებული (არასტრუქტურირებული) ინტერვიუების მეთოდები. რესპონდენტები შერჩეულ იქნენ ქართულ-აფხაზურ დიალოგში ჩართულობისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასეთმა მეთოდოლოგიამ მნიშვნელოვან მიგნებებამდე მიგვიყვანა, რაზეც ვრცლად პროექტის დასკვნით ნაწილში ვისაუბრებთ.

კვლევა მოიცავს ექვს ძირითად ნაწილს: შესავალი, კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული საფუძველი, მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების მიმოხილვა, მშვიდობის მშენებლობის პროცესის ძირითადი დაბრკოლებები, ფოკუს ჯგუფის შედეგები და დასკვნა.

<sup>3</sup> ნაშრომი ეხება მხოლოდ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კუთხით არსებულ სამშვიდობო ინიციატივებს.

## თავი II

# კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული საფუძველი

### 2.1. კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში მეთოდოლოგიური მხარე ორ ნაწილად არის შემოთავაზებული: პირველი, კვლევის თეორიულ/მეთოდოლოგიური მხარე, რომელიც კონფლიქტოლოგიაში არსებულ თეორიულ მოდელებს ემყარება და კონცეპტუალური ჩარჩოს ფუქციას ასრულებს, და მეორე, - ტექნიკურ/მეთოდური მხარე, რომელიც ემპირიული მონაცემების მოსაპოვებლად და გასაანალიზებლად არის გამოყენებული, ძირითადად ეფუძნება მეორადი წყაროების ანალიზს, რომელშიც იგულისხმება არსებული კვლევები, სტატიები, მოხსენებები და ნაშრომები, რომლებსაც, თავის მხრივ, კვლევის ძირითადი ვარაუდებისა და ჰიპოთეზის თანმიმდევრულ ანალიზში მნიშვნელოვანი ფასეულობა და ფუნქცია გააჩნიათ.

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა არასტრუქტურირებული ინტერვიუს ელემენტსაც<sup>4</sup>, რადგან ამ სახის ინტერვიუები, სტრუქტურირებულ ინტერვიუსთან შედარებით, უფრო მოქნილ და თავისუფალ ხასიათს ატარებს. ინტერვიუები ჩატარდა კონფლიქტის კუთხით მომუშავე ექსპერტებთან, ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ქართულ-აფხაზური დიალოგის აქტიურ მონაწილეებთან. კვლევის ამ დამატებითმა კომპონენტმა საინტერესო ხასიათი შესძინა ნაშრომს და ახალი კითხვებზე პასუხების აღმოჩენამდე მიგვიყვანა.

კვლევის საბოლოო ეტაპზე, რომელიც პროექტების შეფასებასა და დასკვნების გამოტანას ითვალისწინებდა, გამოვიყენეთ შეფასების შვიდი კრიტერიუმისაგან შემდგარი სტრუქტურა; ფოკუს-ჯგუფის საშუალებით შეფასების ამ სისტემაში განვიხილეთ სამოქალაქო ინიციატივები კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით და გამოვყავით ამ აქტივობების სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც საბოლოოდ კვლევის დასკვნაში აისახა.

### 2.2. კონფლიქტის ტრანსფორმაცია

წინამდებარე თავში ვეცდებით წარმოვაჩინოთ კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი სტრატეგია - ტრანსფორმაცია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე კონფლიქტოლოგიაში. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს წარმოადგენს მიმოვიხილოთ ტრანსფორმაციის თეორიის ძირითადი პოსტულატები, ჩამოვაყილობოთ კონცეპტუალური ბაზისი და შემდეგ ამ

<sup>4</sup> იხ. ზურაბიშვილი, თ, 2006, გვ.14 <http://www.ucss.ge/upload/iblock/ed0/ed0bfc8dc-56c1add7a368a99025fd0f.pdf>.



ჩარჩოში მოვახდინოთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შეფასება.

**ტრანსფორმაცია [ლათ. transformatio]** ლათინური სიტყვაა და გარდაქმნას, სახეცვლილებას ნიშნავს<sup>5</sup>. თვით **კონფლიქტის ტრანსფორმაციის** ცნება შედარებით ახალი დამკვიდრებულია, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი გამოყენების ზრდა ემთხვევა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდს. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო მოკავშირე რესპუბლიკებში „მატრიოშკა ნაციონალიზმის“ აქტიურ ფაზაში გადასვლასა და სეცესიონისტური მისწრაფებების მატებასთან. კონფლიქტოლოგიაში არსებული თეორიული მიდგომები ვერ პასუხობდა იმჟამად არსებულ გამოწვევებს და არ შესწევდა უნარი შეეჩერებინა პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული სახელმწიფოებრივი კრიზისები, რომლებმაც სათავე დაუდეს ეთნიკურ შუღლსა და ადამიანთა მასობრივ განადგურებას. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ახალი კონცეპტუალური ჩარჩოების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა კონფლიქტის ძალადობრივი გამოვლინებების მინიმალიზებასა და გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებას კონფლიქტურ რეგიონებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციის კონცეპტი უკვე არსებობდა ოთხმოციანი წლებიდან; როგორც ჯონ პაულ ლედერაჰი აღნიშნავს, იგი 1980 წლიდან იწყებს ამ ტერმინის გამოყენებას ცენტრალურ ამერიკაში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით<sup>6</sup>.

რიგი თეორიტიკოსებისა და პრაქტიკოსებისა უპირსპირდებიან კონფლიქტის მხოლოდ ნეგატიურ ასპექტში განხილვას და იძლევიან მისი ხასიათის განსხვავებულ დესკრიპციას. კონფლიქტის მოგვარების თეორიისაგან განსხვავებით, რომელიც კონფლიქტს განსაზღვრავს „ცუდ“ მოვლენად<sup>7</sup> და მის მოგვარებას შესაძლებელად განიხილავს დროის მოკლე მონაკვეთში მედიაციითა თუ სხვა სახის ჩარევით, ტრანსფორმაციის თეორია კონფლიქტის ფენომენს განიხილავს როგორც „არაძალადობრივ ბრძოლას სოციალური ცვლილებებისთვის“<sup>8</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონფლიქტი არის ერთგვარი „ძრავი ცვლილებებისთვის, რომელიც ხდის ურთიერთობებსა და სოციალურ სტრუქტურებს დინამიკურად ანგარიშვალდებულს ადამიან-

<sup>5</sup> იხ. სამოლქო განათლების ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=40348><http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=22580>.

<sup>6</sup> Lederach, John Paul. "Conflict Transformation." Beyond Intractability. Eds. Guy Burgess and Heidi Burgess. Conflict Research Consortium, University of Colorado, Boulder. Posted: October 2003 <http://www.beyondintractability.org/essay/transformation/>

<sup>7</sup> Spangler, Brad. ~Settlement, Resolution, Management, and Transformation: An Explanation of Terms. ~ Beyond Intractability. Eds. Guy Burgess and Heidi Burgess. Conflict Research Consortium, University of Colorado, Boulder. Posted: September 2003 [http://www.beyondintractability.org/essay/meaning\\_resolution/](http://www.beyondintractability.org/essay/meaning_resolution/).

<sup>8</sup> Cordula Reimann, 2007, For conflict transformation: the survey of contemporary theories related to the conflict settlement, The Berghof Handbook for Conflict Transformation, [http://www.berghof-handbook.net/documents/publications/russian\\_reimann\\_handbook.pdf](http://www.berghof-handbook.net/documents/publications/russian_reimann_handbook.pdf).

ნის ძირითადი მოთხოვნები მის მიმართ”<sup>9</sup>. კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერის, იოჰან გალტუნგის, მოსაზრებით კონფლიქტს გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სახე, ის ყალიბდება საზოგადოების სტრუქტურაში არსებული წინააღმდეგობებიდან. შემდეგ ეს წინააღმდეგობები მჟღავნდებიან ატიტუდებსა და ქცევებში<sup>10</sup>.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორია გვთავაზობს კონფლიქტის განსხვავებულ აღწერას. როგორც ლედერაჰი აღნიშნავს, „ტრანსფორმაციის ლინზით“ დანახული კონფლიქტი არ უკავშირდება მის დაუყოვნებლივ გადაჭრას მოლაპარაკებისა თუ სხვა ტექნიკების გამოყენებით, არამედ იძლევა კონფლიქტის დარეგულირების კომპლექსური ხასიათის პარადიგმას<sup>11</sup>.

კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის აუცილებელია საზოგადოების თითოეულ რგოლს გააჩნდეს საკუთარი როლი მშვიდობის მშენებლობის გრძელვადიან პროცესში. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების (დონეების) თანმიმდევრული ჩართულობით.

ამ თეორიის მიხედვით, მთავარი აქცენტები კეთდება „კულტურული და სტრუქტურული ძალადობის“ აღმოფხვრაზე. სტრუქტურული ძალადობა არის შედეგი „ცუდი“ მმართველობის სისტემისა, რომელიც ხასიათდება პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური უთანასწორობით, ძალაუფლებისა და რესურსების არათანაბარი გადანაწილებით. კულტურული ძალადობა შესაძლებელია განვსაზღვროთ როგორც „ლეგიტიმაციის“ მიმნიჭებელი სოციალური მოვლენა, რომელიც აკანონებს სტრუქტურულ ძალადობას საზოგადოებაში<sup>12</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული კორელაცია სახელმწიფოს მშენებლობასა (state-building) და კონფლიქტის ტრანსფორმაციას შორის. სუსტი სახელმწიფოებრიობის პირობებში არსებული „ბოროტი სტრუქტურები“ ქმნიან ნოყიერ ნიადაგს კონფლიქტის ძალადობრივ ფორმაში გადასაზრდელად. კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების კულტურის არარსებობა კი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სამხედრო დაპირისპირებებისა.

ტრანსფორმაციული მოდელის გამოყენებით შესაძლებელია კონფლიქტის „ძალადობის ფორმებისგან“ გათავისუფლება, რაც მხარეებს მისცემს

<sup>9</sup> Lederach, John Paul. "Conflict Transformation." Beyond Intractability. Eds. Guy Burgess and Heidi Burgess. Conflict Research Consortium, University of Colorado, Boulder. Posted: October 2003 <http://www.beyondintractability.org/essay/transformation/>.

<sup>10</sup> იხ. შედარებისთვის: Galtung, J. 1996. Peace by Peaceful Means, 70-126.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> Cordula Reimann, 2007, For conflict transformation: the survey of contemporary theories related to the conflict settlement, The Berghof Handbook for Conflict Transformation, [http://www.berghof-handbook.net/documents/publications/russian\\_reimann\\_handbook.pdf](http://www.berghof-handbook.net/documents/publications/russian_reimann_handbook.pdf).

შესაძლებლობას პოლიტიკური მეთოდებით მოახდინონ სოციალური ცვლილებების განხორციელება.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიას თავისუფლად შეგვიძლია ვუნოდოთ განვითარების თეორია, რადგან სტრუქტურული და კულტურული ძალადობის აღმოფხვრა „კარგი მმართველობის“ ჩამოყალიბების გზით სწორედ რომ ხელს უწყობს ადამიანების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაც, რასაკვირველია, წარმოადგენს ძირითად ფაქტორს სამართლიანი და განვითარებული საზოგადოების არსებობისთვის.

### **2.3. მრავალდონიანი დიპლომატია: კონფლიქტის ტრანსფორმაციის ძირითადი ინსტრუმენტი**

რა არის მრავალდონიანი დიპლომატია და რაში გვეჭირდება იგი? კონფლიქტი, თავისი რთული და კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გათავისუფლდეს ძალადობის ფორმებიდან საზოგადოების ყველა ფენის აქტიური ჩართვის გარეშე. შესაბამისად, აუცილებელია მრავალდონიანი მიდგომის გამოყენება, რომელიც პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს გახლეჩილ საზოგადოებებზე მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით. კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიისგან განსხვავებით, რომელიც, ძირითადად, ორიენტირებულია დიპლომატიის მეორე დონეზე არსებულ ინიციატივებზე, ტრანსფორმაციული მოდელი დამატებით იყენებს დიპლომატიის მესამე დონეს.

საერთო სურათის დასანახად უმჯობესია მოვახდინოთ მრავალდონიანი დიპლომატიის (Multi-track Diplomacy) თითოეული ელემენტის დიფერენციაცია და ანალიზი (იხ. დანართი, ცხრილი 1.1).

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, მრავალდონიანი დიპლომატია მოიცავს მოქმედებათა ფართო სპექტრს, რომელიც ორიენტირებულია როგორც შედეგზე, ასევე პროცესსა და სტრუქტურულ ცვლილებებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიის თითოეული დონე ლოგიკურად არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან. შეუძლებელია ისაუბრო რომელიმე დონის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე ცალკეულად, რადგან ზოგადი სურათი არ შეიცვლება, თუ არ არსებობს საზოგადოებაში საერთო შეთანხმება, ანუ კონფლიქტის ტრანსფორმაცია ვერ განხორციელდება საზოგადოების ცალკეული ჯგუფების დონეზე.

**უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილი მრავალდონიანი დიპლომატიის მიდგომა ხაზს უსვამს კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში საზოგადოების სრული სპექტრის ჩართვის აუცილებლობას, ასევე დიპლომატიის დონეებს შორის კოორდინაციის აუცილებლობას. ეს გამოწვეულია იმით, რომ კონფლიქტი, თავისი კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, ითხოვს სისტემურ მიდგომას,**

მისი ტრანსფორმაცია კი შეუძლებელი ხდება არათანმიმდევრული და შეუთანხმებელი მიდგომების არსებობის შემთხვევაში. მეორე მხრივ, კოორდინაციისა და თანმიმდევრული მუშაობის შემთხვევაში წარმოიქმნება სინერგია, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესს<sup>13</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოორდინაცია არ გულისხმობს სახელმწიფოს, ანუ პირველი დონის წარმომადგენლების მხრიდან პროცესის მონოპოლიზებას. სახელმწიფოს გავლენის ზრდა სამოქალაქო სექტორზე თავისთავად გამორიცხავს დემოკრატიული და მშვიდობიანი პროცესის არსებობას, მეტიც, ასეთი ტენდენცია პირდაპირ მიუთითებს სტრუქტურული ძალადობის ფორმების ზრდაზე, რაც, თავის მხრივ, უკუპროპორციულად აისახება მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესზე. დიპლომატიის დონეებს შორის კოორდინაცია ეფუძნება არა ძალადობრივ კონტროლს, არამედ ანგარიშვალდებულებისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

---

<sup>13</sup> McDonald, John W.. "Multi-Track Diplomacy." Beyond Intractability. Eds. Guy Burgess and Heidi Burgess. Conflict Research Consortium, University of Colorado, Boulder. Posted: September 2003 [http://www.beyondintractability.org/essay/multi-track\\_diplomacy/](http://www.beyondintractability.org/essay/multi-track_diplomacy/).

## თავი III

### საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციები და სამოქალაქო ინიციატივები

კვლევის მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა ოთხი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებმაც ხელშესახებ შედეგებს მიაღწიეს დაპირისპირებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის, არსებული უარყოფითი სტერეოტიპების ნგრევისა და საშუალო რგოლის ლიდერებს შორის თანამშრომლობის გარემოს ჩამოყალიბების მიმართულებით. ამ ორგანიზაციების გამოყოფის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად გამოვიყენეთ მათ მიმართ არსებული ნდობის ხარისხი, ომის შედეგად გაყოფილ ორივე საზოგადოებას შორის. შეიძლება ითქვას, რომ გამყოფი ხაზებით დაშორებულ მოსახლეობას შორის რეპუტაციის დონით, ასევე განხორციელებული პროექტების რაოდენობის (შედეგიანობის) ხარისხით გამოირჩევა შემდეგი ოთხი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია:

1. შერიგების რესურსები (Conciliation Resources)
2. საერთაშორისო განგაში (International Alert)
3. კალიფორნიის უნივერსიტეტი ირვინში (University of California at Irvine)
4. ბერგჰოფის კონფლიქტების კვლევის ცენტრი (Berghof Research Center for Constructive Conflict Management)

გარდა ამისა, ნაშრომის ამ თავში მოექცა ასევე სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებიც, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს მშვიდობის მშენებლობის პროცესზე, თუმცა, ძირითადი აქცენტი მაინც ზემოთ აღნიშნული ოთხი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტების ანალიზზეა გაკეთებული.

საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლაზე არჩევანის გაკეთება გამოინვია ორმა მიზეზმა: 1) ქართულ და აფხაზურ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ გააჩნდათ საშუალება რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ჰქონოდათ პირდაპირი ინტერაქცია საერთაშორისო დონორებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლად; 2) ფასილიტიის პროცესი ხორციელდებოდა სწორედ საერთაშორისი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

ამ ორი მიზეზის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას, რომ საერთაშორისო ჩართულობის გარეშე ქართულ-აფხაზური სამოქალაქო ინიციატივები, როგორც ასეთი, ვერ იარსებებდა ან იარსებებდა შეზღუდული, მცირე ფორმით. შესაბამისად, ჩვენი კვლევა, არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, დაეფუძნა საერთაშორისო (არასამთავრობო) ორგანიზაციების

გამოცდილების ანალიზს, რაც, ბუნებრივია, მოიცავს ქართულ-აფხაზურ სამოქალაქო ინიციატივებს.

ანალიზისთვის შეიქმნა ის პროექტები, რომელთაც თავიანთი ფორმებიდან, ხასიათიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, ზემოქმედება მოახდინეს როგორც კონფლიქტის სტრუქტურასა და პროცესზე, ასევე შეძლეს კონკრეტული შედეგების მიღწევა სამშვიდობო პროცესის განვითარების მიმართულეებით.

### 3.1. დიალოგი და შიდასაზოგადოებრივი საქმიანობა

წინამდებარე ქვეთავში, რომელიც ეძღვნება ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგის პროექტების განხილვას, მოცემულია რამდენიმე მათგანის დეტალური აღწერა. აქვე ვეხებით იმ სისუსტეებსა და პრობლემებს, რომელთა არსებობის გამო ვერ მოხერხდა კონფლიქტის ტრანსფორმაცია საზოგადოებრივ დონეზე.

**„შლაინინგის პროცესი“**<sup>14</sup> „შლაინინგის პროცესი“ არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელსაც ახორციელებდა „შერიგების რესურსები“ ქართულ-აფხაზური დიალოგის ფორმატში. პროექტი მიმდინარეობდა 2000 წლის თებერვლიდან. ამ პროექტს „შლაინინგის პროცესი“ სიმბოლურად ეწოდა, რადგან პირველი შეხვედრები გაიმართა ქალაქ შლაინინგში (ავსტრია). თავდაპირველი შეხვედრების ორგანიზატორი „შერიგების რესურსებთან“ ერთად იყო „ბერჰოფის კვლევითი ცენტრი“<sup>15</sup>.

პირველი საპილოტე შეხვედრა განხორციელდა 1997 წლის იანვარში ქალაქ შლაინინგში „ავსტრიის მშვიდობისა და კონფლიქტის მოგვარების სასწავლო ცენტრში“.

პროექტის გააჩნდა სამი კონკრეტული მიზანი:

1. მხარდაჭერა აღმოეჩინა ორივე მხრის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, რათა მათ განეხილათ საკუთარი შესძლებლობები და გაეღრმავებინათ ცოდნა საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილებების მიხედვით;
2. განეხილათ შესაფერისი კომუნიკაციის ფორუმები, რაც საშუალებას მისცემდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ჩამოეყალიბებინათ კონსტრუქციული მიდგომები და საერთო ინიციატივები, ძირითადი სიძნელეების აღმოფხვრის მიზნით.
3. ჩამოეყალიბებინა საერთო წარმოდგენები (შეხედულებები) პროექტის მონაწილეებს შორის, რაც საშუალებას მისცემდა მათ დიალოგის პრო-

<sup>14</sup> <http://www.c-r.org/our-work/caucasus/schlaining.php>.

<sup>15</sup> იხ. Oliver Wolleh, A Difficult Encounter d The Informal Georgian-Abkhazian Dialogue Process, 2006, [http://www.berghof-peacesupport.org/publications/SC\\_Difficult\\_Encounter.pdf](http://www.berghof-peacesupport.org/publications/SC_Difficult_Encounter.pdf).

ცესი გადაზრდილიყო პრაქტიკულ პროექტებში, მოქმედებებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში<sup>16</sup>.

გარდა ამ სამი ძირითადი მიზნისა, პროექტის ავტორების ამოცანას წარმოადგენდა სემინარებისთვის მიეცა წინასწარ ჩამოყალიბებულ თეორიული სტრუქტურის სახე, ანუ დიალოგის ფარგლებში მომხდარიყო „ინტერაქციისა და თანამშრომლობის” დიაგრამის პრაქტიკული ხორც-შესხმა. ეს კონცეპტუალური დიაგრამა პირველი რიგის ამოცანად ისახავს დიალოგის მონაწილეებს შორის კონტაქტის დამყარებას, შემდგომი ეტაპი გულისხმობს ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას, პრობლემური საკითხის განხილვას, პრობლემის მოგვარების თეორიული სცენარის შემუშავებასა და ფინალურ ეტაპზე „საერთო მოქმედების” მიღწევას.

დიალოგის ეს ფორმატი შეიქმნა პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო აქტივისტებისთვის. იგი იძლეოდა საშუალებას პოლიტიკოსებს დახურულ რეჟიმში ესაუბრათ მტკივნეულ თემებზე და გაეანალიზებინათ მათ წინაშე არსებული პრობლემები და მოეხდინათ ამ პრობლემების გადაჭრისთვის ახალი იდეების გენერირება. პროექტის ფორმა არაოფიციალური ხასიათის იყო, მხარეები არ იყვნენ წარმოდგენილები როგორც დელეგაციები, შესაბამისად, არ ხდებოდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ისინი არ წარმოადგენდნენ სახელნიფო ინსტიტუციებს და შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ექსპერტები. მუშაობა ეყრდნობადა “ჩეთემ ჰაუსის” პრინციპს, ანუ დაუშვებელი იყო რომელიმე მონაწილის ან მხარის საჯაროდ ციტირება, თუმცა ამავე დროს შეხვედრებზე გაჟღერებული იდეების გავრცელება დაშვებული იყო. კონფიდენციალურობის ამ ფორმით უზრუნველყოფილი იყო მუშაობის გულახდილი, პირდაპირი და პრინციპული ხასიათი. პროექტის არსებითი ნაწილი გახლდათ ის, რომ შეხვედრებში მონაწილეობას ლებულობდნენ მხოლოდ ქართველი და აფხაზი მაღალი თანამდებობის პირები, პოლიტიკოსები და ექსპერტები. მესამე მხარე დიალოგის პროცესში უშუალოდ მონაწილეობას არ იღებდა. „პერიგების რესურსებს” (ასევე “ბერჰოფის ცენტრს” 2004 წლამდე) გააჩნდა მხოლოდ ფასილიტატორის როლი. ეს პროცესი იყო ერთადერთი ფორმატი, სადაც ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსებს რეგულარულად და თანმიმდევრულად ეძლეოდათ საშუალება მესამე მხარეების გავლენის გარეშე ეწარმოებინათ არაფორმალური დიალოგი; მოწინააღმდეგე მხარის პოზიციებისა და ინტერესების შესწავლითა და გათვალისწინებით განესაზღვრათ საკუთარი სტრატეგია და ტაქტიკური ნაბიჯები; დიალოგის ფორმით დააკონკრეტებინათ ერთმანეთის ხედვები სხვადასხვა საკითხზე და, შესაბამისად, მოემზადებინათ მომავალი ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრები; 2000 წლის თებერვლიდან 2007 წლის ივლისამდე „მლანინგის პროცესის” პროექტის ფარგლებში სულ 20 სამუშაო შეხვედრა-სემინარი ჩატარდა.

<sup>16</sup> იქვე.

„შლანინგის პროცესის“ დადებითი მახასიათებლები შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ შემდეგი სახით:

**1. პროექტის მასშტაბურობა,** რაც გულისხმობს კონფლიქტის ორივე მხრიდან მონაწილეების სოლიდურ რაოდენობას (პროექტში მონაწილეობა მიიღო სულ 56 ადამიანი აფხაზური - და 59 ქართული მხრიდან)

**2. პროექტის სოლიდურობა და პოლიტიკურ პროცესზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის არებობა.** პროექტის ამ დადებით მახასიათებლს ადასტურებს ისეთი პოზიტიური დოკუმენტების შექმნა, როგორებიცაა, „მომავლის გასაღები“<sup>18</sup> და „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფცია“. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ამ დოკუმენტის რეალიზება არ მომხდარა, თვით ასეთი პოზიტიური და ორივე მხარის ინტერესებზე დაფუძნებული დოკუმენტების არსებობა მიუთითებს „შლანინგის პროცესის“ მნიშვნელოვან ზეგავლენაზე.

**3. პროექტის ინფორმაციულობა.** ეს მახასიათებელი შესაძლებელია გაიშალოს შემდეგი სახით: იმის გათვალისწინებით, რომ „შლანინგის პროცესში“ მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკოსები, ეს ვითარება იძლეოდა შესაძლებლობას მხარეებს შორის მომხდარიყო ინფორმაციის გაცვლა და არსებული პოზიციების რევიზია. ის ფაქტი, რომ ამ პროექტით გათვალისწინებული შეხვედრები არაოფიციალურ სახეს ატარებდა, პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევდა დიალოგი ენარმოებინათ პოპულარული გარეშე და არ ყოფილიყვნენ შეზღუდული ორივე საზოგადოებაში კონფლიქტის შედეგად ჩამოყალიბებული მითებითა და სტერეოტიპებით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღწერილ პროცესში ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები, მაინც ვერ მოხერხდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კონსტრუქციულ სიბრტყეზე გადაყვანა. ეს განპირობებული იყო რიგი ფაქტორებით, რომლებსაც ნაშრომის დასკვნით ნაწილში შევეხებით.

„შლანინგის პროცესის“ ბოლო შეხვედრა ჩატარდა 2007 წლის 26-30 ივლისს ქალაქ ლონდონში. ამ პროცესის ერთ-ერთი ორგანიზატორისა და აქტიური მონაწილის ჰაატა ზაქარეიშვილის მოსაზრებით, პროექტის შეჩერების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ კონფლიქტების კუთხით პოზიციების რადიკალური ცვლილება. მისი აზრით, საქართველოს მთავრობამ სცადა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი გადაეყვანა ქართულ-რუსული დაპირისპირების სიბრტყეში. ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას ხელს აღარ აძლევდა

<sup>18</sup> „ეს დოკუმენტი არ იყო „შლანინგის პროცესის“ პირდაპირი შედეგი, თუმცა მისი ერთ-ერთი ავტორი იყო მონაწილე ამ პროცესისა. შესაბამისად იდეები რომელიც ამ დოკუმენტშია ჩადებული, შესაძლოა განპირობებული იყო შეხვედრებზე მიღებული გამოცდილებით“, ჯონათან კოენი („შერიგების რესურსები“, პროგრამების დირექტორი).



ქართულ-აფხაზური დიალოგის პროცესის გაგრძელება. შესაბამისად, მიიღეს სხვადასხვა სახის ზომები, რომლებიც გარდაუვალს გახდიდა „შლაინინგის პროცესის“ შეჩერებას. ზაქარეიშვილი ერთ-ერთ სტატიაში<sup>19</sup> აღწერს, თუ როგორ იბლოკებოდა „შლაინინგის პროცესი“ ნაბიჯ-ნაბიჯ. მისი თქმით, მთავრობამ პროცესის დაბლოკვის მიზნით, საკუთარი გავლენის ქვეშ მყოფ პოლიტიკოსებს აუკრძალა შეხვედრებში მონაწილეობა, რის შედეგადაც დიალოგის პროცესის გაგრძელება ამ ფორმატში შეუძლებელი გახდა.

**კალიფორნიის უნივერსიტეტი (ირვაინი) 1997** წლიდან მოყოლებული, პოლა გარბის პროექტის ფარგლებში რეგულარულად აწყობს სემინარ-შეხვედრებს, სადაც ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლები დიალოგის ფორმატში განიხილავენ სხვადასხვა პრობლემურ საკითხს. დიალოგს გააჩნია ტრანსფარანტული სახე, რაც გულისხმობს შეხვედრების მიმდინარეობის ჩანერას და შემდგომ ნაშრომის სახით გამოცემას. ამ პროექტის ფარგლებში გამოიცა 14 კრებული. ნაშრომის დასახელებაა “The aspects of Georgian-Abkhazian conflict”, იგი გამოდის, რუსულ და ინგლისურ ენებზე (მიმოხილვა). ნაშრომის ნახვა შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებითაც<sup>20</sup>.

„შლაინინგის პროცესისგან“ განსხვავებით, ეს პროექტი განეკუთვნება მეორე დონის დიპლომატიას, რამდენადაც მასში მხოლოდ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობენ. პაატა ზაქარეიშვილის აზრით, საწყის ეტაპზე პროექტის ფარგლებში გამოცემული ნიგნები (“The aspects of Georgian-Abkhazian conflict”) არ სარგებლობდა დიდი პოპულარობით, თუმცა დღესდღეობით ეს ტენდენცია შეცვლილია და რამდენიმე ნომერი ხელმეორედ იბეჭდება.

პროექტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

1. მხარი დაუჭიროს კონსტრუქციულ დიალოგს და თანამშრომლობას ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის;
2. წვლილი შეიტანოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიის განვითარებაში, კონფლიქტის დინამიკაზე არაოფიციალური დიპლომატიის ზეგავლენაზე დაკვირვებით;
3. პროექტის შედეგების გავრცელება როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სპეციალისტებში, რომლებიც დაკავებული არიან კონფლიქტების მოგვარების საკითხებით<sup>21</sup>.

ყოველ შეხვედრაზე განიხილებოდა განსხვავებული საკითხები და თემები, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა ორივე მხარისთვის აქტუალურ ასპექტებს: „არაოფიციალური დიპლომატიის როლი სამშვიდობო პროცესში“, „კულტურის მემკვიდრეობითობა სახელმწიფო მშენებლობის კონტექსტში“, „კავკასიაში სტაბილურობის შეთანხმების განხილვა და სამშვიდობო პრო-

ცესის სტრატეგია“, „ძირითადი ინტერესებისა და მხარეთა ინტერესების ანალიზი ურთიერთქმედების მოდელების შემუშავებისას“, „ცვლილებების დრო“, „რუსეთის როლი: მითები და რეალობა“, „საქართველოს ნატოში შესვლის შესაძლო შედეგები ქართულ-აფხაზური მშვიდობიანი პროცესის კუთხით“. დიალოგის პროცესის ეფექტურობას ზრდიდა ამ პროცესებში მონაწილე მაღალი დონის საერთაშორისო ექსპერტები, მათ შორის აშშ-ს, ევროპის, რუსეთის სამეცნიერო კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროექტის ამ ფორმატმა ხელი შეუწყო დიალოგის პროცესს, აფხაზურ და ქართულ სამოქალაქო საზოგადოებებში ტოლერანტობის კულტურის ამაღლებას. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ღიად აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციებს ყველაზე მტკივნეულ საკითხებზეც კი, რაც ოფიციალურ დონის შეხვედრებზე შეუძლებელი იქნებოდა.

ამ პროექტის დადებით მხერებებიდან შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი მახასიათებლები:

1. **პროექტის გამჭვირვალობა**, რაც გამოიხატებოდა ყოველი შეხვედრის სტენოგრაშირებასა და შემდეგ პუბლიკაციების სახით გამოცემაში;
2. **პროექტის მასშტაბურობა**, რაც გამოიხატა შეხვედრებისა და მონაწილეების დიდ რაოდენობაში;
3. **საზოგადოების ინფორმირებულობა** - გამოშვებული პუბლიკაციების საშუალებით.

გარდა ზემოთ აღნიშნული პროექტებისა, უნდა აღინიშნოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო განგაშის“ საქმიანობა ქართულ-აფხაზური დიალოგის განვითარების საქმეში. „საერთაშორისო განგაში“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კუთხით სამოქალაქო ინიციატივებს ახორციელებს 1997 წლიდან. რეგიონში ორგანიზაციის მიზანია დაეხმაროს გახლეჩილ საზოგადოებებს ისეთი სტრუქტურების შექმნაში, რომლებიც ხელს შეუწყობს მშვიდობის მშენებლობას, გავლენას მოახდენს მთავრობასა და საზოგადოების სხვა ფენებზე სხვადასხვა ჯგუფებში ნდობის მშენებლობის საშუალებით<sup>22</sup>. „საერთაშორისო განგაშის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ორიგინალურ პროექტს წარმოადგენდა ე.წ. მწერლების პროექტი, რომლის ფარგლებში გამოიცა ნიგნი „სამხრეთ კავკასიელი მწერლები ომის შესახებ“. აღნიშნულ ნიგნიში თავმოყრილია

<sup>19</sup> [http://zakareishvili.com//index.php?categoryid=1&p2\\_articleid=3](http://zakareishvili.com//index.php?categoryid=1&p2_articleid=3).

<sup>20</sup> Publications From Georgian-Abkhaz Dialogue Conferences, <http://www.socsci.uci.edu/~cpb/progs/projpubs.htm>.

<sup>21</sup> Publications From Georgian-Abkhaz Dialogue Conferences, <http://www.socsci.uci.edu/~cpb/progs/projpubs.htm>.

<sup>22</sup> <http://www.international-alert.org/caucasus/index.php?t=1>.

აფხაზი, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და ოსი მწერლების ნაწარმოებები ომის შესახებ<sup>23</sup>.

მეოთხე მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობას, წარმოადგენდა ჩრდილოეთ ირლანდიის პროექტი, რომელიც, ფაქტიურად, „შლაინინგის პროცესის“ ფარგლებში აღმოცენდა. ეს პროექტი მოიცავდა ჩრდილოეთ ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში სასწავლო ვიზიტებს, სადაც ხდებოდა ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესის პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ასპექტების განხილვა და მათი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კონტექსტთან შედარება<sup>24</sup>.

### 3.2. ახალგაზრდული დიალოგი

საერთაშორისო და ადგილობრივი საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების საქმიანობის კიდევ ერთ დამატებით კომპონენტს წარმოადგენდა ახალგაზრდებთან მუშაობა, რამდენადაც ახალგაზრდები მომავალი განვითარებისა და სოციალური ტრანსფორმაციის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს<sup>25</sup>. ამ მიმართულებით სამოქალაქო ინიციატივების ძირითად მიზანი იყო კონფლიქტის შედეგად გაყოფილ საზოგადოებებში ახალგაზრდებს შორის ნდობის შენება და მომავლის ლიდერების ფორმირება, რომლებიც შემდგომში მოახერხებდნენ საერთო ენის გამონახვასა და ერთობლივი სტრატეგიების ჩამოყალიბებას<sup>26</sup>. წინამდებარე ქვეთავში განხილულია ორი მნიშვნელოვანი ახალგაზრდული პროექტი, მათი სტრუქტურა, ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები.

**“ახალგაზრდების დიალოგის პროექტი” (ახორციელებს „შერიგების რესურსები“)** - დაიწყო 2007 წელს და დღემდე გრძელდება (2011). პროექტის ფაგლებში კონფლიქტის ზონის ფარგლებს გარეთ ჩატარდა 5 შეხვედრა<sup>27</sup>. პროექტის სამიზნე ჯგუფში შედიან 18-28 წლის ახალგაზრდები, რომლებიც საკუთარი საზოგადოების აქტიური წევრები (ახალგაზრდა ლიდერები) არიან<sup>28</sup>.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> [http://www.microconflict.eu/publications/PWP3\\_NM\\_NP.pdf](http://www.microconflict.eu/publications/PWP3_NM_NP.pdf).

<sup>25</sup> [http://www.berghof-handbook.net/documents/publications/schell\\_faucon\\_hb.pdf](http://www.berghof-handbook.net/documents/publications/schell_faucon_hb.pdf).

<sup>26</sup> [http://www.c-r.org/our-work/caucasus/youth\\_dialogue\\_project.php](http://www.c-r.org/our-work/caucasus/youth_dialogue_project.php).

<sup>27</sup> „2007 წლამდე “შერიგების რესურსები“ ახორციელებდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლის პროექტს ბიჭვინთაში ყოველწლიურად, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი ახალგაზრდებიც. ამ პროექტის ფარგლებში 2002-2006 წლებში ბიჭვინთაში გაიმართა ხუთი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 170 ახალგაზრდამ, მათ შორის 20 ქართველმა“, მირა სოვაკარი („შერიგების რესურსები“, კავკასიური პროექტების მენეჯერი).

<sup>28</sup> Conciliation Resources, Youth Dialogue Project, , [http://www.c-r.org/our-work/caucasus/youth\\_dialogue\\_project.php](http://www.c-r.org/our-work/caucasus/youth_dialogue_project.php).

პროექტის მიზანია ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს მიეცეს კონფლიქტის გაანალიზებისა და ერთმანეთის პოზიციების გაზიარების შესაძლებლობა. პროექტი დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე, რომ, რამდენადაც ახალგაზრდა თაობას არ აქვს საშუალება პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეთ „მონინალმდევე“ მხარესთან, შესაბამისად, უნდა შემუშავებულიყო ისეთი ფორმატი, სადაც ახალგაზრდა ლიდერებს ერთმანეთთან ამ საკითხებზე დიალოგისა და დისკუსიის გამართვა შეეძლებოდათ<sup>29</sup>.

ზოგიერთ შეხვედრას გააჩნდა „სასწავლო ვიზიტის“ სახე, რაც გულისხმობდა მონაწილეთათვის საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურისა და საქმიანობის პრინციპების გაცნობას, ასევე შეხვედრების მოწყობას ძალადობრივი კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანებთან, არსებული გამოცდილებისა და გაკვეთილების გაზიარების მიზნით. ასეთი ტიპის შეხვედრების საშუალებით ევროპულ დედაქალაქებში მყოფ გადანყვეტილებების მიმღებ პირებს აქვთ საშუალება მოისმინონ უშუალოდ ქართველი და აფხაზი ახალგაზრდებისგან თუ როგორ ხედავენ ისინი მათ მომავალს რეგიონში და რას ელიან ისინი ევროპული ინსტიტუტებისგან. ამ კუთხით, პროექტის დღის წერსრიგში ყოველთვის გათვალისწინებულია ახალგაზრდების შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტებთან და დიპლომატებთან<sup>30</sup>.

„ახალგაზრდული დიალოგის პროექტში“ მონაწილეობის პრინციპი სხვა მსგავსი პროექტებისგან განსხვავებულია. კერძოდ, არსებობს როტაციის განსაზღვრული წესი, რომლის მიხედვით, ყოველ ახალ შეხვედრაში მონაწილეების ერთ მესამედს მაინც უნდა შეადგენდეს წინარე შეხვედრების მონაწილეები. როტაციის ასეთი პრინციპის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ახალგაზრდების კომპეტენციის გაზრდა, მეორე მხრივ კი, ნდობის მუდმივი მშენებლობა მომავალ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ლიდერებს შორის. პროექტის კოორდინატორები ცდილობენ პროცესში აქტიურად ჩართონ ახალგაზრდები რეგიონებიდან. პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ორმხრივ შეხვედრებში ჩართულია მინიმუმ ორი დევნილი. თავის მხრივ, ასეთი მიდგომა ხელს უწყობს პროექტის სამიზნე ჯგუფის გაფართოებას, რამდენადაც იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით.

„შერიგების რესურსების“ ადგილობრივი პარტნიორების აზრით, პროექტს გააჩნია რიგი დადებითი მახასიათებლებისა. პირველ რიგში, ახალგაზრდებს ეძლევათ თავიანთ თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება, რაც ხელს უწყობს მინიმუმ პერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ასეთი ურთიერთობები კი შესაძლებელია მომავალში პარტნიორობის და პოზიტიური მშვიდობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ წინაპირობად იქცეს. გარდა ამისა, შეხვედრებიდან დაბრუნებული მონაწილეები აცნობიერებენ, რომ

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> მაგალითისთვის იხ. [http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/Youth\\_Dialogue\\_Brussels\\_2010\\_report.pdf](http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/Youth_Dialogue_Brussels_2010_report.pdf).

ძირითადი პრობლემა თავიანთი საზოგადოების შეხედულებებშია, რაც რიგ შემთხვევებში მათთვის ადგილობრივ გამონკვევად იქცევა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ „ახალგაზრდული ორგანიზაცია პირველების“ აქტივობა საქართველოს საზოგადოების შიგნით, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ამაღლებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ორგანიზაციის ბირთვი დაკომლექტებულია იმ ახალგაზრდებით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ „შერიგების რესურსების“ მიერ ორგანიზებულ ქართულ-აფხაზურ დიალოგში. ამ ახალგაზრდების საქმიანობა ძირითადად მოიცავს საჯარო დისკუსიებისა და სტუდენტური შეხვედრების ფორმატში საზოგადოების ფართო ფენებისთვის ქართულ-აფხაზური დიალოგის პოზიტიური შედეგების გაცნობასა და სამშვიდობო იდეების კულტივირებას სოციუმის ახალგაზრდულ ნაწილში<sup>31</sup>.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ პროექტის დადებით მხარეს წარმოადგენს მისი მეთოდოლოგიური ასპექტი, რომელიც მაქსიმალურად ხელს უწყობს ახალგაზრდებს შორის ნდობის მშენებლობას და უზრუნველყოფს მშვიდობიანი სივრცის არსებობას დიალოგისთვის. გარდა ამისა, დიალოგის ასეთი სახე ხელს უწყობს მტრის ხატის ფენომენის დეკონსტრუირებასა და უარყოფითი სტერეოტიპების შემცირებას. როგორც პროექტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, კოტე ჩოკორაია, აღნიშნავს, აფხაზ ახალგაზრდობაში, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ბავშვობიდან ინერგება ისეთი დისკურსები, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე დადებითად არ ან/და ვერ აისახება. მისი აზრით, სწორედ ამ ცრუ დისკურსების დეკონსტრუქცია წარმოადგენს ახალგაზრდული დიალოგის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას.

პროექტის უარყოფით მხარედ კი შეგვიძლია ჩავთვალოთ მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობა, რაც ვერ ემსახურება დაპირისპირებულ საზოგადოებებში მშვიდობის უპირატესობის, როგორც ასეთის, და სახალხო დიპლომატიის, როგორც კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალების, პოპულარიზაციას. თუმცა პროექტის მონაწილეების მრავალჯერადი სემინარები რეგიონებში გარკვეულწილად ამ ნაკლის კომპენსირებას ახდენს.

გარდა ამისა, პროექტს გააჩნია დამატებით ერთი სისუსტე, კერძოდ პროექტის არასათანადო საინფორმაციო პოლიტიკა, რაშიც იგულისხმება ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომ ამ პროექტის შესახებ არ ხდება ინფორმაციის სათანადოდ გავრცელება, არ ხდება ინფორმაციის განთავსება სოციალურ და საინფორმაციო ქსელებში. ასეთი მიდგომა ამცირებს პროექტში საზოგადოების ახალგაზრდული ნაწილის ჩართულობას, რაც სათანადოდ ვერ აისახება კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესზე.

<sup>31</sup> <http://pirvelebi.ge/index.htm>.

„ჩართულობა დიალოგის გზით“<sup>32</sup> - პროექტი ხორციელდება ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით. ქართულ-აფხაზური და ქართული-ოსური დიალოგის ფორმატში ბერგჰოფის ცენტრი, დანარჩენ ოთხ საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან<sup>33</sup> ერთად, ატარებს ახალგაზრდა ლიდერების სასწავლო შეხვედრებს. პროექტს გააჩნია რამდენიმე მიზანი, კერძოდ:

1. გააფართოვოს სივრცე პირდაპირი ინტერაქციისთვის კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის;
2. ხელი შეუწყოს შესაძლებლობების ზრდას ახალგაზრდა ლიდერებში, რათა მათ მიეცეთ საშუალება იმსჯელონ მათ საზოგადოებებში არსებული პრობლემების გადაწყვეტის კომპლექსურ მოდელებზე;
3. ასევე მათ მიეცეთ შესაძლებლობა გამოიკვლიონ მშვიდობის მშენებლობის პროცესის შესაძლებლობები და შეზღუდვები<sup>34</sup>.

პროექტის ფარგლებში სასწავლო შეხვედრები იმართება მოლდოვასა და კოსოვოში, სადაც მონაწილეები ხვდებიან ადგილობრივ ჟურნალისტებს, ექსპერტებს, მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს. კოსოვოსა და მოლდოვას (დნესპისპირეთის) კონფლიქტის მაგალითზე მონაწილეებს აქვთ საშუალება გაანალიზონ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები, მოახდინონ შედარებები და დაინახონ განსხვავებები, ასევე, იპოვონ საერთო შეხების წერტილები და გამოიკვლიონ ის გზები, რომლითაც შესაძლებელია ამ კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება.

თითოეულ ვიზიტში მონაწილეობას იღებს 12 მონაწილე (6 საქართველოდან, დანარჩენი ექვსი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთიდან). შეხვედრები გრძელდება ექვსი სამუშაო დღის მანძილზე. სამუშაო ჯგუფის ფასილიტაციას აწარმოებენ ბერგჰოფის ცენტრი და სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან აღნიშნულ პროექტში.

როგორც პროექტის ქართველი კოორდინატორი, თინათინ ასათიანი აღნიშნავს, პროექტის მიზნებიც და სამიზნე ჯგუფის შედგენის პრინციპები ორიენტირებულია მომავალზე. მისი მოსაზრებით, პროექტის შედეგიანობაზე მსჯელობა მხოლოდ მომავალში იქნება შესაძლებელი, რადგან მიზნები მომავალზეა გათვლილი. ეს პროექტი არ შემოიფარგლება მხოლოდ საზღვარგარეთ კონფლიქტური საზოგადოებებიდან გამოსული ახალგაზრდების შეხვედრით. სამშობლოში დაბრუნების შემდგომ ადგილობრივ (კოორდინატორ) ორგანიზაციებში მუდმივად იმართება შეხვედრები, სადაც ხდება გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების გაზიარება. გარდა ამისა, ეწყობა გასვლითი შეხვედრები რეგიონებში, სადაც ახალგაზრდები

<sup>32</sup> <http://www.caucasus-dialog.net/Caucasus-Dialog/Welcome.html>.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> იქვე.

თავიანთ თანატოლებს უზიარებენ აფხაზებსა და ოსებთან არსებული ურთიერთობების გამოცდილებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მონაწილეთა კონტიგენტი არ შემოიფარგლება დედაქალაქის მასშტაბით. პროექტის კოორდინატორები ცდილობენ შეხვედრებში ერთი მონაწილე მაინც წარადგინონ რეგიონიდან. ეს ხელს უწყობს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის მშენებლობას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„ახალგაზრდული დიალოგის პროექტისგან“ („შერიგების რესურსები“)<sup>35</sup> განსხვავებით, ამ პროექტში მონაწილეების შერჩევა ხდება ძველი მონაწილეების რეკომენდაციების საფუძველზე. მონაწილეების შერჩევის ასეთი მეთოდი აძლიერებს გუნდურობის განცდას და ხელს უწყობს მათ კოლექტიურ ქმედებებს შიდა სოციალური ცვლილებების მოსახდენად. ასეთი ქმედებების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს პროექტის შედეგად ჩამოყალიბებული ახალგაზრდული ჯგუფის მიერ მომზადებული მიმართვა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ე.წ. „მოდალობების“ დოკუმენტში (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის ნესები)<sup>36</sup> ცვლილებების ინიცირება<sup>37</sup>.

საბოლოოდ კი შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ პროექტი „ჩართულობა დიალოგის გზით“ ატარებს კომპლექსურ ხასიათს და ორიენტირებულია მომავალზე. ორგანიზატორების პროფესიონალიზმი კი არის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა პროექტის წარმატებისა.

### 3.3. შიდასაზოგადოებრივი პროექტები

მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების შიდასაზოგადოებრივი საქმიანობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით ფოკუსირებული იყო კონფლიქტით დაზარალებულ და მარგინალურ ჯგუფებთან მუშაობაზე. მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების ძირითად ბენეფიციარებს ამ მიმართულებით წარმოადგენდნენ: დევნილები, ექს-კომბატანტები, ძალადობის შედეგად ფიზიკურად დაზარალებული პირები (განსაკუთრებით ბავშვები, რომელთაც ესაჭიროებოდათ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია).

დევნილებთან მუშაობის კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია „შერიგების რესურსების“ საქმიანობა. „შერიგების რესურსების“ ძალისხმევით ჩამოყალიბდა კოალიცია, რომელიც აერთიანებს 20 დევნილების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამ კოალიციის საქმიანობა

<sup>35</sup> იხ. გვ. 11-13.

<sup>36</sup> <http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/statement.pdf>.

<sup>37</sup> ეს დოკუმენტი მომზადდა ახალგაზრდების ჯგუფის მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ პროექტ „ჩართულობა დიალოგის გზით“. დოკუმენტს ხელი მოაწერა ამ პროექტის ყველა მონაწილემ, რაც შემდგომ გადაეცა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს. იხ. დანართი. 2.

მოიცავს: დევნილების თემაზე საერთო ანალიზის ჩატარებას, ძირითად აქტორებს შორის ინფორმაციის გაცვლას, დევნილების ინტეგრაციისა და უფლებების დაცვის ხელშეწყობას, დევნილების უფლებების ადვოკატირებას. ამ კოალიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი მინვეული იყო მრჩეველად მთავრობის მიერ იძულებით გადაადგილებულთა პირთა შესახებ სტრატეგიის შესამუშავებლად<sup>38</sup>.

„შერიგების რესურსების“ მხარდაჭერით, 2009 წლიდან აფხაზეთში ფუნქციონირებს ტელე-სტუდია ასარკია (“Asarkia”)<sup>39</sup>. ამ სტუდიის ძალისხმევით მზადდება სხვადასხვა სახის რეპორტაჟები აფხაზეთში მიმდინარე საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. რეპორტაჟების ნაწილი ეძღვნება აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს. ეს პროექტი ასევე ითვალისწინებს გაზეთ „ადამიანები და დრო“-ს გამოშვებას. ამ გაზეთის თემები ძირითადად ფოკუსირებულია სამ რაიონზე: ოჩამჩირე, გალი და ტყვარჩელი. გაზეთი ეხება ამ რაიონებში მიმდინარე მოვლენებს, სამოქალაქო სექტორს, ასევე მოთხრობილია ამ რაიონებში მცხოვრები ადამიანების ისტორიები<sup>40</sup>. მირა სოვაკარის მოსაზრებით, აფხაზურ მოსახლეობაში კვლავ არსებობს უარყოფითი სტერეოტიპები და უნდობლობა ქართველი მოსახლეობის მიმართ. ეს პროექტი ემსახურება სწორედ ამ სტერეოტიპების ნგრევასა და აფხაზურ საზოგადოებაში ქართველების შესახებ პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

აფხაზეთში შიდასაზოგადოებრივი საქმიანობის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის“ საქმიანობა, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

1. სასწრაფო დახმარების აღმოჩენა ძალადობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის;
2. ომით დაზარალებული ადამიანების რეაბილიტაცია;
3. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ აუდიო-ვიზუალური არქივის მომზადება;
4. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლო ბლოკების განვითარება;
5. ექს-კომპატანტების რეინტეგრაცია.

1994 წლიდან „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის“ საქმიანობა ძირითადად ფოკუსირებული იყო ომის შედეგად დაზარალებული ადამიანების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე, თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდგომ ამ ორგანიზაციის საქმიანობის არეალი გაფართოვდა და მოიცვა ისეთი საკითხები როგორცაა დემოკრატიული ღირებულებებისა და პოლიტიკური

<sup>38</sup> <http://www.c-r.org/our-work/caucasus/idp-network.php>.

<sup>39</sup> <http://www.asarkia.info/>.

<sup>40</sup> [http://www.asarkia.info/upload/people\\_and\\_times/n24.pdf](http://www.asarkia.info/upload/people_and_times/n24.pdf).



პლურალიზმის მხარდაჭერა აფხაზურ საზოგადოებაში. „შერიგების რესურსების“ მხარდაჭერით ეს ორგანიზაცია გამოსცემდა ჟურნალს „სამოქალაქო საზოგადოება“. გარდა ამისა „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი“ ატარებს ტრენინგებს მასწავლებლებისთვისა და ახალგაზრდებისთვის სამოქალაქო განათლების საკითხებზე და ამავე დროს მუშაობს ადგილობრივი მმართველი სტრუქტურების რეფორმირებაზე.

ამ ორგანიზაციის ძალისხმევით, ქართულ ორგანიზაციებთან პარტნიორობით, განხორციელდა რამდენიმე საზაფხულო ბანაკი ქართველი დევნილი ბავშვებისა და აფხაზების მონაწილეობით<sup>41</sup>.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების გარდა, შიდასაზოგადოებრივ დონეზე კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხზე მომუშავე ძირითად აქტორებს წარმოადგენდნენ: არასამთავრობო ორგანიზაცია „ოჯახი“, ქალთა ორგანიზაცია - კულტურული და ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, ასოციაცია „დაეხმარე საკუთარ თავს“, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია“ და ა.შ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ორგანიზაციების ძირითად ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ დევნილები და ომის შედეგად დაზარალებული სხვა პირები.

## შეჯამება

დიალოგზე ორიენტირებულ პროექტებზე საუბრის შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტების საშუალებით მოხერხდა მცირე ჯგუფების ჩამოყალიბება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფართო საზოგადოების განწყობებზე მათი გავლენა საკმაოდ მცირეა როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოს დანარჩენ ნაწილში. ამას ადასტურებს ის გამოკითხვები, რომლებიც ჩატარდა კონფლიქტით დაშორებულ საზოგადოებებში. მაგალითისთვის, 2009 წელს ამერიკელი და რუსი ექსპერტების მიერ ჩატარებული სოციალური გამოკითხვებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობის დაახლოებით 58% პროცენტი ცალსახად აცხადებს, რომ არ შეუძლია სხვებს აპატიოს 1992-1993 წლებში ჩადენილი ძალადობა; ამავე კვლევის მიხედვით, ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობის მხოლოდ 9%-ს შეუძლია აპატიოს სხვებს ომის დროს ჩადენილი ძალადობა<sup>42</sup>. რაც შეეხება საქართველოს საზოგადოებას, ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2010 წელს „შერიგების რესურსებისა“ და „კავკასიის კვლევითი რესურსების“ მიერ ჩატარებული კვლევა<sup>43</sup>, რომელიც ეხებოდა დევნილების განწყობების ანალიზს იძულებით გადაადგილების, დაბრუნების, კონფლიქტის მოგვარებისა და სამართლიანობს საკითხებთან დაკავშირებით. კვლევა

<sup>41</sup> [http://www.microconflict.eu/publications/PWP3\\_NM\\_NP.pdf](http://www.microconflict.eu/publications/PWP3_NM_NP.pdf).

<sup>42</sup> [http://www.colorado.edu/ibs/pec/defacto\\_states/docs/OLoughlinEtal\\_InsideAbkhazia.pdf](http://www.colorado.edu/ibs/pec/defacto_states/docs/OLoughlinEtal_InsideAbkhazia.pdf).

<sup>43</sup> [http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/IDPs\\_2011/IDPs%20in%20Georgia\\_Final.pdf](http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/IDPs_2011/IDPs%20in%20Georgia_Final.pdf).

ჩატარდა დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში. ამ კვლევის მიხედვით, ირკვევა, რომ გამოკითხულ დევნილთა 20% მიიჩნევს, რომ კონფლიქტის გადანაცვების გზად სამხედრო საშუალებები გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, 6% კი კონფლიქტების გადანაცვების ძალისმიერ გზას ემხრობა. აქედან შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ გამოკითხულთა 26% კვლავ უშვებს ძალისმიერი საშუალებების გამოყენებას კონფლიქტის გადანაცვების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, კერძოდ კი, დიალოგის პროცესის ფართო საზოგადოებაზე არასაკმარისი გავლენის არსებობაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ დევნილები წარმოადგენდნენ იმ სოციალურ ჯგუფს, რომელთანაც ყველაზე დიდი საქმიანობა გასწიეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩართულმა აქტივისტებმა, ეს მდგომარეობა შესაძლებელია შევაფასოთ როგორც მძიმე. ზემოთ აღნიშნული ნაწინამძღვრებიდან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს საზოგადოების დანარჩენ ნაწილში სიტუაცია ბევრად უფრო მძიმეა<sup>44</sup>.

ექსპერტთა ნაწილი დიალოგის პროცესზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ქართულ-აფხაზური დიალოგის გავლენა ძალადობრივი კონფლიქტით დაშორებულ საზოგადოებებს შორის საკმაოდ მცირეა. „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ მკვლევარის, მედეა ტურაშვილის, მოსაზრებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და მშვიდობის მშენებლობს აქტივისტებმა ვერ მოახერხეს კონფლიქტის ტრანსფორმაციის იდეა ექციათ სამოქალაქო მოძრაობად და ეს იდეა დარჩა მხოლოდ მცირე ჯგუფებისა და ცალკეული ექსპერტების დონეზე. მისი თქმით, ამას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლად არსებული ფაქტორები (ისეთები, როგორიცაა: კონტროლირებადი მედია და საზოგადოებრივი თვით-რეგულაციის ფორმები, მთავრობის ნეგატიური განწყობა დიალოგის მიმართ და ამის შედეგად წარმოქმნილი დაბრკოლებები), მეორე მხრივ კი, თავად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სისუსტეები, კერძოდ ელიტიზმი, კოორდინაციის სიმცირე, პროაქტიულობის ნაკლებობა, ინსტიტუციონალური არამდგრადობა და ა.შ. მისი აზრით, სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ ამ კუთხით

<sup>44</sup> „მოცემული ცნობების მიხედვით ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი ეწინააღმდეგება ზემოთ ნახსენებ მოსაზრებას: რასაკვირველია ამ კუთხით კიდევ ბევრია გასაკეთებელი, თუმცა ჩვენი აფხაზი პარტნიორები ძალიან გაკვირვებული იყვნენ ამ 59%-იანი მაჩვენებლით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადანაცვლებას, რამდენადაც ისინი მოელოდნენ რომ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მომხრეთა ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებელს. 1995 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რომელიც ჩაატარა „ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ“, დევნილთა მესამედი მიიჩნევდა რომ დაბრუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებით“, მირა სოვაკარი, („შერიგების რესურსები“, კავკასიური პროექტების მენეჯერი).

მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარუმატებლობას. აღსანიშნავია, რომ ამავე მოსაზრებას იზიარებს „შერიგების რესურსების“ კავკასიური პროექტების მენეჯერი მირა სოვაკარი. მისი შეფასებით, ძირითადი პრობლემა, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივი მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების წინაშე დგას, არის დიალოგის პროცესის არასრულფასოვანი გავრცელება გაყოფილ საზოგადოებებში. თუმცა, იგი ამავე დროს აღნიშნავს რომ ეს პრობლემა უფრო მეტად დაკავშირებული სამოქალაქო კულტურისა და აქტივიზმის ნაკლებობასთან სამხრეთ კავკასიაში და არა მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების სისუტეებთან.

რაც შეეხება მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების შიდასაზოგადოებრივ მუშაობას, მის ძირითად ნაკლოვანებაა ის, რომ ეს საქმიანობა ძირითადად ფოკუსირებული იყო ძალადობის შედეგად დაზარალებულ სოციალურ ჯგუფებზე და ნაკლებად (ან არასრულად) ითავლისწინებდა საზოგადოების ფართო ფენებთან მუშაობას. ამას ემატება ისიც, რომ მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების ოფისები ძირითად განლაგებული იყო დედაქალაქში და რეგიონებში მათი საქმიანობა მიზერული იყო (თუ არ ჩავთვლით სამეგრელოს)<sup>45</sup>. ესეც გახლდათ დამატებითი ფაქტორი კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესის ფართო საზოგადოებაში გაუვრცელებლობისა.

რაც შეეხება აფხაზეთში მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი საქმიანობის ფოკუსი, ქართული ორგანიზაციების – მსგავსად, მიმართული იყო ძალადობის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან მუშაობაზე და იგი ვერ ვრცელდებოდა საზოგადოების ფართო ფენებზე. მათ ვერ შეძლეს ადგილობრივ საზოგადოებაში საქართველოს საკითხზე ტაბუ მოეხსნათ. მეტიც, ხშირად ეს ორგანიზაციები და მშვიდობის მშენებლობის აქტივისტები ნებსით თუ უნებლიეთ თავს არიდებდნენ საკუთარ საზოგადოებაში საუბარს ქართულ ორგანიზაციებთან კავშირებსა და თანამშრომლობაზე, რამდენადაც აფხაზური საზოგადოება დღემდე დახურულია ასეთი თემებისთვის და საქართველოს (ქართველების) პოზიტიურ კონტექსტში მოხსენიება აგრესიას იწვევს. ამ აგრესიისგან თავის დასაცავად აფხაზური მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციები ქართულ-აფხაზურ დიალოგსა თუ სხვა ტიპის ერთობლივ პროექტებს ხშირად რეგიონულ კონტექსტში მოიხსენიებენ<sup>46</sup>. ასეთი რეალობა ხელს უშლის აფხაზურ საზოგადოებაში გამჯდარი „მტრის ხატის“ ფენომენის დეკონსტრუირებას და მიზანშეწონილი იქნება, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები შეცვლიან საქმიანობის სტრატეგიას ამ კუთხით.

<sup>45</sup> [http://www.microconflict.eu/publications/PWP3\\_NM\\_NP.pdf](http://www.microconflict.eu/publications/PWP3_NM_NP.pdf).

<sup>46</sup> კვლევის ავტორებმა შეგნებულად შეიკავა თავი ასეთი ტიპის განცხადებებისა და პროექტებიდან ციტირებისგან.

### 3.4. კვლევითი პროექტები

კვლევით ორგანიზაციებსა და აკადემიურ წრეებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ კონფლიქტისა და ძალადობის მიზეზების გადაზრების პროცესში. კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიიდან გამომდინარე, კვლევითი ორგანიზაციები შესაძლებელია ჩართული იყვნენ როგორც სამშვიდობო პროცესის მონიტორინგში, ასევე შექმნან შესაძლებლობები გაცვლითი და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის<sup>47</sup>. წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ ძირითად კვლევით პროექტებს, რომელთაც მოახდინეს გავლენა საქსპერტო საზოგადოებაზე პოზიტიური განწყობების ფორმირების კუთხით, ასევე წვლილი შეიტანეს პირველი დონის დიპლომატებს შორის მოლაპარაკებებში.

**„სადისკუსიო მასალები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ“<sup>48</sup>** - ეს პროექტი შესაძლებელია ჩაითვალოს „შლაინინგის პროცესის ერთგვარ გაგრძელებად, ამ პროექტის იდეაც სწორედ „შლაინინგის პროცესის“ მიმდინარეობისას დაიბადა. პროექტს მხარი დაუჭირეს აფხაზური და ქართული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, აბესალომ ლეფსაიამ და პაატა ზაქარეიშვილმა. ეს პროექტი შეიძლება ჩაითვალოს ბერგჰოფის ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად, რომელიც დაკავშირებული იყო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან<sup>49</sup>.

პროექტის ავტორებმა მოამზადეს ორიგინალური ვერსია სადისკუსიო მასალების შედგენისთვის, რომელიც ეფუძნებოდა ჟურნალ „აკორდისა“ და სხვა კონფლიქტოლოგიის სფეროში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ასევე პროექტში ჩართული ადამიანების გამოცდილებას.

სხვა პროექტებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ დიალოგზე იყო ორიენტირებული, წარმოდგენილი ფორმატი შეიცავდა თანამშრომლობის ასპექტებსაც. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი წიგნის ავტორები იქნებოდნენ ორივე მხარის წარმომადგენლები. წერისა და აპრობაციის პროცესში პროექტში მონაწილე პირებმა შეძლეს უფრო ღრმად ჩანვდომოდნენ კონფლიქტის მიზეზებს, ანუ პროექტს გააჩნდა გარკვეული მნიშვნელობა სამეცნიერო კუთხითაც.

კრებულის შემდგენლები ორი წლის განმავლობაში პერიოდულად ატარებდნენ შეხვედრებს და მუშაობდნენ მასალის გასწორებასა და სრულყოფაზე. მოცემული მასალების საფუძველზე, 2002 წლის გაზაფხულზე აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ჩატარდა ტრენინგების ციკლი („შერიგების რესურსებისა“ და „ბერგჰოფის ცენტრის“ მხარდაჭერით

<sup>47</sup> იხ. Rupesinghe, K., Anderlini, S. N. (1998), p. 126, *Civil Wars, Civil Peace: An Introduction to Conflict Resolution, International Alert*, London, Sterling, Virginia.

<sup>48</sup> [http://www.berghof-conflictresearch.org/documents/publications/GA\\_DiscussionPack.pdf](http://www.berghof-conflictresearch.org/documents/publications/GA_DiscussionPack.pdf).

<sup>49</sup> „ბერგჰოფის ცენტრის“ გარდა ამ პროცესში უშუალოდ ჩართული იყო „შერიგების რესურსები“ და საფუძვლად აღებული იყო „შერიგების რესურსების“ მიერ ჩრდილოეთ ირლანდიის შესახებ მომზადებული მასალები.

ჩატარდა შეხვედრები მასწავლებლებსა და პუბლიკაციის ავტორებს შორის; შეხვედრაზე განიხილეს ნაშრომში წარმოდგენილი მასალები). ამ ტრენინგების შედეგად მიღებული გამოცდილება გაითვალისწინეს კრებულის საბოლოო ვერსიაში.

პროექტის განხორციელების ორივე ეტაპზე, როგორც შინაარსის შეფასების, ისე მეთოდური აპრობაციის სტადიაზე, პროცესში ჩართულები იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები - ოფიციალურები პირები, უნივერსიტეტის პედაგოგები, სტუდენტები, მოსწავლეები, გამოცდილი ტრენერები და სხვა. პროექტის მიმართ საზოგადოებება დადებითად განეწყო, რისი ნიშანიც იყო ის, რომ წინასწარი აპრობაცია წარმატებით ჩატარდა.

შეჯამების სახით შესაძლებელია გამოვყოთ ძირითადი დადებითი მახასიათებლები, რომლებიც პროდუქტიულ სახეს აძლევს ზემოთ აღწერილ პროექტს:

1. კონფლიქტის ღრმა ანალიზი, რაც ეყრდნობოდა კონფლიქტის ორივე მხარის წარმომადგენლების ერთობლივ მუშაობას;
2. ორივე მხარის ჩართულობა პროექტის იმლიმენტაციის პროცესში (თანამშრომლობის ასპექტი);
3. საზოგადოების ფართო ჩართულობა, ტრენინგებში მონაწილეობის სახით.

**„დიალოგი კვლევის გზით“** - კვლევით პროექტებს „საერთაშორისო განგაში“<sup>50</sup> ახორციელებს 2008 წლიდან. „საერთაშორისო განგაშს“ საკუთარი გამოცდილებისა და რეპუტაციის გამოყენებით, მიეცა საშუალება ძალადობრივი კონფლიქტით დაშორებულ ორივე მხარეს თავი მოეყარა იმ ადამიანთა ჯგუფებისთვის, რომელთაც გააჩნდათ სოლიდური გამოცდილება აკადემიური მუშაობის კუთხით, ასევე შეეძლოთ გარკვეული გავლენა მოეხდინათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე.

„საერთაშორისო განგაშის“ აქტიური ფინანსური თუ სხვა სახის მხარდაჭერით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მომზადდა ორი ანალიტიკური ნაშრომი: „საერთაშორისო მონაწილეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში“<sup>51</sup> და „სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები: საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის კონტექსტში“<sup>52</sup>.

როგორც „საერთაშორისო განგაშის“ ევრაზიული პროგრამის პროექტის მენეჯერმა ჯულიეტ სკოფილდმა აღნიშნა, ამ პროექტის შექმნის ძირითად მოტივაციას წარმოადგენდა:

<sup>50</sup> <http://www.international-alert.org/>.

<sup>51</sup> <http://www.international-alert.org/pdf/Georgian-Abkhaz.pdf>.

<sup>52</sup> [http://www.international-alert.org/pdf/Dialogue\\_on\\_security\\_guarantees\\_in\\_the\\_context\\_of\\_the\\_georgian\\_abkhaz\\_conflict\\_en.pdf](http://www.international-alert.org/pdf/Dialogue_on_security_guarantees_in_the_context_of_the_georgian_abkhaz_conflict_en.pdf).

1. „კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხებისა და მათი ინტერპრეტაციისადმი ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომის გაცნობიერება;
2. კვალიფიციურად მომზადებული კვლევის შედეგების გავრცელება გადანყვეტილებების მიმღებ ჯგუფებში“.

მისივე თქმით, „კვლევით პროექტებს“ მოაქვს ორი უმნიშვნელოვანესი შედეგი:

1. „იდეებს, რომლებიც განხილული იყო არაოფიციალურ შეხვედრებზე და რომელთა ნაწილი მოთავსდა კვლევაში, ამჟამად შეაქვს ნვლილი ოფიციალურ მოლაპარაკებებში;
2. ადამიანთა ჯგუფები ორივე მხრიდან ინფორმირებული არიან მონიანალმდევე მხარის მოტიავაციაზე, მოთხოვნილებებსა და პროცესებზე, რომელიც ვითარდება დაპირისპირებულ საზოგადოებებში“<sup>53</sup>

ამ ორი უმნიშვნელოვანესი შედეგის გათვალისწინებით, „კვლევით პროექტებს“ შესაძლებელია ვუნუდოთ წარმატებული პროექტი, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს ის სისუსტეები, რომლებიც ხელს უშლის პროექტში ჩართულ ადამიანებს მასშტაბური გავლენა მოახდნონ, ერთი მხრივ, გადანყვეტილებების მიმღებ პირებზე, მეორე მხრივ კი, ძალადობრივი კონფლიქტით გახლეჩილ საზოგადოებებზე.

კვლევითი პროექტების ერთ-ერთ ძირითად სისუსტეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ პროექტში თანამშრომლობას ნაკლები ყურადღება ეთმობა<sup>54</sup>. კერძოდ, პროექტის მონაწილეები ქართული და აფხაზური მხრიდან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ამზადებენ ანალიტიკურ სტატიებს, რაც ამცირებს სივრცეს თანამშრომლობისთვის.

<sup>53</sup> „ეს არის სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გრძელვადიანი სამუშაოს შედეგი. სინამდვილეში დიალოგის ეს ეტაპი - „დიალოგი კვლევის გზით“ განხორციელება შესაძლებელია გახდა, მხოლოდ იმიტომ რომ მას წინ სდევდა უამრავი პროექტი, რომელთა განხორციელების საშუალებითაც ჩამოყალიბდა ნდობა პროექტის მონაწილეებს შორის. ამის შედეგად პროექტის მონაწილეები დასთანხმდნენ მიეღოთ მონაწილეობა ერთსა და იმავე პროცესში და გამოექვეყნებინათ ნაშრომები ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა პერსპექტივიდან“, ჯულიეტ სკოფილი - „საერთაშორისო განგაშის“ ევრაზიის პროგრამების მენეჯერი.

<sup>54</sup> „მე ამას არ ვეთანხმები. პროექტი შეიცავს თანამშრომლობის ელემენტს. პირველ რიგში ამას ადასტურებს კვლევის საგნის შერჩევის პროცედურა: კვლევის თემის შერჩევა ხდება საერთო შეხვედრაზე (დიალოგის რეჟიმში), სადაც მხარეები თანხმდებიან იმ თემებზე, რომლებიც მათ სურთ „შეუკვეთონ“ მეორე მხარეს. მოლაპარაკებების საშუალებით პროექტის მონაწილეები თანხმდებიან საკვლევ თემებზე და შემდგომ ატარებენ კვლევას „პარალელურ“ რეჟიმში. ეს არის მნიშვნელოვანი ასპექტი ამ პროექტის და იგი უზრუნველყოფს ორივე მხარის ინტერესს კვლევის შედეგებისა და ძირითადი მიგნებების მიმართ. უფრო მეტიც, პროექტის მონაწილეებს აქვთ საშუალება გაცვალონ კვლევების სამუშაო ვერსიები და გააკეთონ კომენტარები ერთმანეთის ტექსტებზე კვლევის საბოლოო ვერსიის გამოქვეყნებამდე.“

კვლევითი პროექტების მეორე და უმნიშვნელოვანესი სუსტი მხარეა ის ასპექტი, რომ **პროექტში არ არის განსაზღვრული ინსტრუმენტი, რომლითაც მოხდება დადებული რეკომენდაციების ადვოკატირება**. ეს მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მიუხედავად იმისა, რომ კვლევის პროცესში მონაწილეობას იღებენ ძირითადად მთავრობასთან დაახლოებული პირები და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები<sup>55</sup>, გამომუშავებული რეკომენდაციები ძირითადად ვერ ჰპოვებენ ხელისუფლების მხრიდან სათანადო უკუკავშირს, რაც ერთიორად ამცირებს პროექტის მიზანშეწონილობას და მინიმუმამდე დაჰყავს შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა<sup>56</sup>. ამ ორი სისუსტის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას, რომ საერთაშორისო განგაშის ეს პროექტი მოითხოვს მნიშვნელოვან გარდაქმნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება არა მშვიდობის მშებებლობის კენ მიმართული ინიციატივა, არამედ საქართველოს საექსპერტო საზოგადოების ფინანსური და ინტელექტუალური მხარდაჭერის პროექტი, რაც, თავის მხრივ, არ მოდის თანხვედრაში პროექტის ძირითად მიზნებთან.

ამ პროექტზე საუბრისას ივლიანე ხაინდრაგამ<sup>57</sup> აღნიშნა, რომ მკვლევარების ფუნქციას არ წარმოადგენს კვლევის შედეგად დადებული რეკომენდა-

---

მეორე მიზეზი რის გამოც არ ვეთანხმები ამ დასკვნას, არის ის რომ თუ გადავხედავთ კვლევის დასკვნებს ადვილად მისახვედრია რომ ისინი მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. რასაკვირველია პროექტის მონაწილეები არ იცვლიან საკუთარ პოზიციებს კონფლიქტის შესახებ (მაგალითად კონფლიქტის გადანყვეტის პოლიტიკურ გზებზე), თუმცა ეს არ არის დიალოგის მიზანი. ჩვენ არ გვაქვს იმის მოლოდინი, რომ მხარეები შეიცვლიან საკუთარ პოზიციებს კონფლიქტის შესახებ. ჩვენი მიზანია ღრმად გავაანალიზოთ ის თუ რა დგას ამ პოზიციების უკან და ვიპოვოთ ალტერნატიული გზები არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. თუ ჩვენ შევძლებთ კიდევ ერთი ეტაპის გადალახვას, არ იქნება რთული საერთო რეკომენდაციების შემუშავება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ მკითხველს აქვს შესაძლებლობა რომ გამოიტანოს ეს საერთო დასკვნები კვლევებიდან. პროექტის ძირითადი მიზანია მოახდინოს ამ კუთხით საექსპერტო საზოგადოების აზროვნების სტიმულირება და „მონაწილემდეგ“ მხარეების მოსაზრებების გვერდი გვერდ მოთავსება - ეს ინიციატივა არ არის ცალსახად ადვოკატირების პროექტი“, ჯულიეტ სკოფილდი - „საერთაშორისო განგაშის“ ევრაზიის პროგრამების მენეჯერი.

<sup>55</sup> თუმცა ცალსახად არ შეიძლება იმის თქმა რომ თითოეული მკვლევარი მთავრობის მიმართ პოზიტიურად არის განწყობილი.

<sup>56</sup> „მე ვეთანხმები იმას, რომ ეს მექანიზმი მართლაც არ არსებობს. თუმცა კვლევის რეკომენდაციებს, ადვილად შევამჩნევთ რომ ისინი ძირითადად არ არიან კონკრეტულები. ერთ-ერთი კვლევა, რომელიც მომზადდა „დიალოგი კვლევის გზით“ პროექტის ფარგლებში ეხებოდა უსაფთხოების გარანტიებსა და ცეცხლის განუხლებლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერას. ეს საკითხი ფუნქვაში განიხილებოდა 3 წლის განმავლობაში და მხარეებს ჰქონდათ მხოლოდ მცირე პროგრესი, შესაბამისად გააკრიტიკო პატარა არასამთავრობო ორგანიზაცია, იმის გამო რომ მან ვერ მოახერხა გაკლენის მოხდენა გადანყვეტილებების მიმღებ პირებზე უსამართლობაა! უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კუთხით არსებობს უამრავი სხვა ფაქტორი და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მხოლოდ მცირე წვლილის შეტანა. ასეთი დიდი მოლოდინები არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ არ უნდა გვქონდეს. არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი, თუმცა სხვა აქტორების როლი უფრო დიდია“, ჯულიეტ სკოფილდი - „საერთაშორისო განგაშის“ ევრაზიის პროგრამების მენეჯერი.

<sup>57</sup> ივლიანე ხაინდრაგა არის ამ პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე და მკვლევარი.

ციების ადვოკატირება და ეს უფრო ორგანიზატორების მოვალეობაა. მისი მოსაზრებით, ამ ნაკლის კომპენსირებისთვის აუცილებელია პროექტში ჩაერთონ ამ საქმის სპეციალისტები, რომლებიც შეეცდებიან ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციით ხელი შეუწყონ კვლევის შედეგების ასახვას მთავრობის გადაწყვეტილებებში.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზის კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრისა“ და „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“<sup>58</sup> მიერ მომზადებული კვლევები. 1997 წლიდან „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრმა“ განახროციელა კვლევითი პროექტი „ეთნიკური, სოციალური და რელიგიური კონფლიქტების ადრეული შეცნობისა და მონიტორინგის ქსელი“<sup>59</sup>. პროექტის მთავრი მიზანი იყო კონფლიქტურ ზონებში არსებული სიტუაციის ანალიზი და დაპირისპირებული მხარეებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება. გარდა ამისა, ამ ორგანიზაციის მიერ გამოიცა წიგნები და ჟურნალები კონფლიქტის შესახებ, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, ერთი მხრივ, საქართველოში კონფლიქტოლოგიის განვითარებაში, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში. ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე საუბრისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალის „დრო მშვიდობისა“ გამოცემა, რომელშიც მოცემულია ცნობილი კონფლიქტოლოგებისა და მშვიდობის მეცნიერების სტატიები და ესეები.

## შეჯამება

მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების მიერ ინიცირებული და შესრულებული პროექტების შეფასებისას შესაძლებელია გამოვყოთ სამი ძირითადი პრობლემა:

1. საქართველოში არსებულ კონფლიქტების კვლევის ორგანიზაციებს (იგივე შეიძლება ითქვას აფხაზურ მხარეზეც) გააჩნიათ საკმაოდ სუსტი ინსტიტუციონალური ბაზა და ხშირად ასეთი ორგანიზაციები ძირითადად კონკრეტულ პიროვნებებზე არიან დაფუძნებულები. კონფლიქტი, როგორც დინამიკური პროცესი, მოითხოვს მუდმივ ანალიზსა და დაკვირვების პროცესის წარმოებას. ასეთ შესაძლებლობებს საქართველოში არსებული კვლევითი ორგანიზაციები მოკლებულნი არიან, რასაც, ერთი მხრივ, განაპირობებს კვალიფიციური ადამიანური რესურსის ნაკლებობა, მეორე მხრივ კი, ფინანსური შეზღუდვები<sup>60</sup>. ფინანსურ შეზღუდვებს ინვესტ

<sup>58</sup> <http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia.aspx>.

<sup>59</sup> <http://www.iccn.ge/Projects/>.

<sup>60</sup> მირა სოვაკარის მოსაზრებით ქართველი მკვლევარებისთვის დამატებით შეზღუდვას წარმოადგენს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.



ის ფაქტი, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ნაკლებად აფინანსებენ კვლევით პროექტებს, სახელმწიფოს ჩართულობა კი კვლევით პროექტების დაფინანსებაში მიზერულია.

2. მეორე ძირითად პრობლემად შეიძლება დასახელდეს კვალიფიციური მკვლევარების ნაკლებობა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავე დგას აფხაზურ საზოგადოებაში, რაც განპირობებულია იმ გარემოებით რომ ქართველ მკვლევართან ერთად საერთო ნაშრომების მომზადება აფხაზურ საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება და მოითხოვს დიდ გამბედაობას. ამის შედეგად მკვლევართა რაოდენობა, რომელსაც შესწავთ უნარი საერთო კვლევები ანარმონ ქართველ კოლეგებთან კონფლიქტის თემებზე შეზღუდულია ადამიანთა მცირე ჯგუფამდე. გარდა ამისა, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ პრობლემას გააჩნია სხვა ასპექტებიც. კერძოდ, ამას ემატება, სსრკ-ის პერიოდში სოციალური მეცნიერების შესწავლის კუთხით საქართველოში არსებული ჩავარდნა. რამდენადაც კონფლიქტოლოგია და მშვიდობის მეცნიერება შედარებით ახალი დისციპლინებია, ამ პრობლემის არსებობა ლოგიკურია. მედეა ტურაშვილის თქმით, ხშირად ერთი და იგივე პიროვნება ასრულებს ნაშრომებს კონფლიქტების, საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკის, რეგიონული თანამშრომლობის პრობლემების შესახებ, რაც, თავის მხრივ, იწვევს კვლევის ხარისხის შემცირებას. კონფლიქტის შესახებ შესრულებული ნაშრომები როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ მხარისაც ხშირად ფოკუსირებულია ისტორიაზე და ამა თუ იმ მხარის პოზიციებისა და ქმედებების ისტორიით გამართლებაზე<sup>61</sup>, რაც უკარგავს კვლევებს აქტუალობას და მიმდინარე პოლიტიკის კორექტირების კუთხით მათ უხარისხოს ხდის.

3. მესამე პრობლემა უშუალოდ არ უკავშირდება ჩატარებული კვლევების შინაარსს. ეს პრობლემა გულისხმობს კვლევის შედეგების (რეკომენდაციების) არასრულფასოვან არტიკულაციას კონფლიქტის მიმართ მთავრობის სტრატეგიისა და გადაწყვეტილებებში. ამ პრობლემას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განაპირობებს ადვოკატირების კამპანიის არასრულფასოვანი წარმოება ან მისი არქონა<sup>62</sup>.

<sup>61</sup> <http://www.conflict-prevention.net/page.php?id=40&formid=73&action=show&surveyid=53>.

<sup>62</sup> „ეს არ არის გამოწვეული მხოლოდ ადვოკატირების ნაკლებობით, მიუხედავად იმისა, რომ უნდა ვაღიაროთ რომ ადვოკატირების მხრივ არსებობს სისუსტე. მაგალითისთვის, „დიალოგი კვლევის გზით“ პროცესი ხშირად ვაკრიტიკებულია იმის გამო, რომ იგი ფოკუსირებულია „არასწორ“ კონფლიქტზე - ანუ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე და არა - რუსულ-ქართულზე. აქ არსებობს ფუნდამენტური განსხვავება ქართულ ხელისუფლების აღქმაში კონფლიქტის მიმართ, რამდენადაც ისინი სათანადოდ არ აღიარებენ აფხაზებს - როგორც კონფლიქტის მხარეს და შესაბამისად უარყოფენ ყველა რეკომენდაციის შესაბამისობას, რომელიც უკავშირდება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს“, ჯულიეტ სკოფილდი - „საერთაშორისო განგამის“ ევრაზიის პროგრამების მენეჯერი.

### 3.5. მედია

მედია საშუალებები კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია, რამდენადაც ამ სფეროს აქვს დიდი პოტენციალი როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის, განწყობებისა და ატიტუდების ფორმირებისა და ცვლილებების მოხდენის კუთხით<sup>63</sup>. სწორედ ამიტომაც წინამდებარე ქვეთავში შევეცადეთ წარმოგვედგინა ის პროექტები, რომლებიც გამოირჩეოდა გახლენილ საზოგადოებებზე გავლენისა და ჩართულობის სიდიდით.

**„ნების არქონა“<sup>64</sup>** - ასოციაციამ “სტუდია რე”<sup>65</sup>, ბრიტანული ორგანიზაცია “შერიგების რესურსებისა” და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით, საქართველოში არსებული კონფლიქტების თემაზე გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ნების არქონა“. ფილმმა მწვავე დისკუსია გამოიწვია ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში, ამიტომაც გადავწყვიტეთ მოგვეხდინა მისი შინაარსისა და გამომხაურების მოკლე დესკრიპცია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს ფილმის თითოეული ეპიზოდის ცალ-ცალკე განხილვა.

„ნების არქონა“, როგორც გარკვეული კონტექსტის მატარებელი ფენომენი, არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ მოქმედებს გახლენილ საზოგადოებებში საკუთარი შეცდომის გააზრებისა და მონანიების ელემენტები კონფლიქტის დინამიკაზე.

ფილმს გააჩნია დოკუმენტური ხასიათი და ძირითადად დაფუძნებულია სახელმწიფო მოღვაწეებთან, ექსპერტებსა და კონფლიქტური რეგიონებიდან დევნილ მოსახლეობასთან ინტერვიუებზე. ფილმის ასეთი სტრუქტურა იძლევა კონფლიქტის მიზეზების ზოგადი სურათის დანახვის საშუალებას, რომელიც მაქსიმალურად დაცლილია ეთნო-ნაციონალისტური აბერაციებისაგან და ძირითად აქცენტირებას აკეთებს ქართული მხრიდან დაშვებულ შეცდომებზე.

ფილმის ასეთმა ხასიათმა მწვავე დიკუსიები გამოიწვია აფხაზურ საზოგადოებაში, მეტიც, აფხაზი ექსპერტების აზრით, მამუკა ყუფარაძის მიერ გადაღებული ფილმი გასცდა იმ დარბაზის ფარგლებსაც, სადაც მისი ჩვენება შედგა, და იმ არხსაც, სადაც მისი ტრანსლირება მოხდა. „შერიგების რესურსებმა“ მოახერხა ის რომ ფილმის რეჟისორს მამუკა ყუფარაძეს, მონანილება მიეღო ფილმის საჯარო ჩვენებასა და დისკუსიაში, რომელიც გაიმართა სოხუმში. თუმცა მას შემდეგ რაც ფილმის ტრანსლირება მოხდა სახელმწიფო ტელევიზიით ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ეს გახდა მასობრივი პოლიტიკური ისტერიის საბაზი აფხაზურ საზოგადოებაში<sup>66</sup>. მირა სოვაკარის თქმით, სახელმწიფო ტელევიზიით ფილმის ჩვენების შემდგომ

<sup>63</sup> [http://www.berghof-handbook.net/documents/publications/melone\\_hb.pdf](http://www.berghof-handbook.net/documents/publications/melone_hb.pdf).

<sup>64</sup> <http://www.youtube.com/watch?v=YZ8O2Ya-fnA>.

<sup>65</sup> <http://www.studiore.org/?menu=7&art=102>.

<sup>66</sup> <http://liberali.ge/en/node/3084>.

გაჩნდა ჭორები იმის შესახებ, რომ ამ ფილმის გადაღება იყო საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილი. ფილმის კრიტიკოსების მოსაზრებით ფილმის მიზანი იყო აფხაზურ საზოგადოებაში შეექმნა ილუზია, რომ ქართველები შეიცვალნენ; რის შედეგადაც აფხაზები დათანხმდებოდნენ ნებაყოფლობით რეინტეგრაციას საქართველოსთან, რამდენადაც სამხედრო გზით პრობლემის მოგვარება ახალი რეალებიდან გამომდინარე შეუძლებელია. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ფილმს არ გააჩნდა მხოლოდ უარყოფითი სახის გამოხმაურება. აფხაზეთის ლიბერლურ წრეებში მიიჩნიეს, რომ „ეს ფილმი არის საქართველოში მომხდარი ომების ჭეშმარიტი მიზეზის ძიების უიშვიათესი მცდელობა“, სადაც გაკრიტიკებულია საქართველოს ხელისუფლება, მისი ელიტა და ზოგჯერ მთელი ერი იმ უპასუხისმგებლო ქმედებების ჩადენის გამო, რომლებმაც გარდაუვალი გახადა სისხლისღვრა ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის<sup>67</sup>. ცნობილი აფხაზი ექსპერტი, ირაკლი ხინთბა, აფხაზური საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის გამოხმაურებას ფილმის შესახებ „მასობრივ ისტერიას“ უწოდებს და ასეთი მიდგომების არსებობას აფასებს თვით აფხაზების ძირითადი მიზნის, საყოველთაო აღიარების შემაფერხებელ ფაქტორად<sup>68</sup>.

მამუკა ყუფარაძემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ ფილმის ჩვენება ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით. აგრეთვე, ფილმი არ უჩვენებიათ საქართველოში არსებულ სხვა მსხვილ ტელევიზიებსაც, თუ არ ჩავთლით ტელევიზია „მესტროსა“ და „კავკასიას“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტელევიზიებს არა აქვთ რეგიონებში მაუწყებლობის საშუალება. მამუკა ყუფარაძის მოსაზრებით, ასეთი ვითარება აიხსნება ხელისუფლების მიმართ ფილმში ასახული კრიტიკული დამოკიდებულებებით.

ყუფარაძეს თქმით, 2010 წელს ამჯერად „საერთაშორისო განგამის“ მხარდაჭერით გადაღებულ იქნა ფილმის გაგრძელება, რომელშიც, პირველი ნაწილისგან განსხვავებით, მეტი ადგილი ეთმობა აფხაზი ექსპერტების ინტერვიუებს, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში პოზიტიური ცვლილებების მოხდენისთვის.

**ნამდვილი ისტორიები კავკასიიდან** - „შერიგების რესურსების“ მხარდაჭერით განახორციელდა პროექტი „რადიო დღიურები“, რომელშიც მონაწილეობდა 40 ჟურნალისტი საქართველოდან (მათ შორის აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან), აზერბაიჯანიდან, სომეხეთიდან და ე.წ. მთიანი ყარაბაღიდან. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ომის შედეგად დაზარალებულ და ხანგრძლივი ვადით დაყოფილ საზოგადოებებს შორის სტერეოტიპების ნგრევა და სამოქალაქო დისკუსიის წარმოება კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე. პროექტის განხორციელება დაიწყო 2002 წელს და რადიოს საშუალებით გადაიცა 1300-ზე მეტი დღიური.

<sup>67</sup> იქვე.

<sup>68</sup> <http://khintba.livejournal.com/1722.html?view=23482#123482>.

ზოგიერთი მათგანი გამოქვეყნდა ქართულ, აფხაზურ, აზერბაიჯანულ და სომხურ გაზეთებში. დღიურები ინერებოდა რიგით მოსახლეობასთან და საუბრები ძირითადად ეხებოდა მათ ცხოვრებას და ომის შემდგომ არსებულ პრობლემებსა და გამონწვევებს. პროექტის მიმდინარეობის პროცესში არსებობდა გარკვეული სირთულეებიც; ხშირად რესპოდენტების დიალოგზე დათანხმება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა, ნაწილი ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებდა<sup>69</sup>. თუმცა, როგორც პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, თამარ ბალავაძე, აღნიშნავს, ყველაზე საინტერესო ისტორიებს სწორედ ჩაკეტილი ცხოვრების მქონე რესპოდენტებისგან ლებულობდნენ<sup>70</sup>. 2006 წელს რუსულ ენაზე გამოიცა წიგნი, რომელშიც შესულია ამ დღიურთაგან მხოლოდ ასი ჩანაწერი.

ასევე აღსანიშნავია „გოუ ჯგუფის“ მიერ მომზადებული ფილმები და პროექტები, რომელშიც ჩართული იყვნენ ქართველი, აფხაზი და ოსი ექსპერტები და ჟურნალისტები. მაგლითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ამ ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული პროექტი, რომლის მიზანი იყო სომხეთსა და თურქეთს შორის არსებული ურთიერთობების კვლევა. პროექტის ფარგლებში ჟურნალისტებმა მოინახულეს ის ადგილები, სადაც სისხლი დაიღვარა, თუმცა მთავარი აქცენტები ურთიერთობების თანამედროვე ტენდენციებზე კეთდებოდა.<sup>71</sup> ამ ორგანიზაციის ფარგლებში ფუნქციონირებს სტუდია “თვითმხილველი“, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი კონფლიქტების მოგვარებას ეძღვნება. ამ სტუდიის საქმიანობის ფორმატში მომზადდა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა საქართველოს საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში<sup>72</sup>.

## შეჯამება

**საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების მიერ შექმნილი პროდუქტები მინიმალურად აისახება საქართველოში არსებული მედიის საქმიანობაში, იქნება ეს ტელევიზიები თუ ბეჭდური საშუალებები.** ამ საკითხზე საუბრისას, ექსპერტები გამოყოფენ ორ დამოუკიდებელ ცვლადს, რომელიც განსაზღვრავს მედიის უარყოფით როლს მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესზე:

<sup>69</sup> „1300 ადამიანი დათანხმდა იმას რომ მათი ინტერვიუები გადაეცათ რადიოს საშუალებით, ამიტომაც ძნელი სათქმელია რომ თანხმობის მოპოვება რთული. რეალურად არც არსებობდა იმის განზრახვა ან ვალდებულება, რომ რესპოდენტების ვინაობა საჯარო ყოფილიყო - დღიურების უმეტესობა წინასწარ განზრახულად იყო ანონიმური. დღიურების ძირითადი მახასიათებელი იყო ის რომ რესპოდენტებს შეეძლოთ საკუთარ ისტორიაზე საუბარი ჟურნალისტის დასწრების გარეშე“, ჯონათან კოენი, („სერიების რესურსები“, პროგრამების დირექტორი).

<sup>70</sup> <http://24saati.ge/index.php/category/culture/2009-09-24/230>.

<sup>71</sup> <http://www.gogroupmedia.net/NewDefault.aspx>.

<sup>72</sup> <http://www.gogroupmedia.net/Pages/FilmsCollections.aspx?categoryID=15&tab=5>.

1. სამოქალაქო დიალოგის მონაწილეების შიში საზოგადოებრივი აზრის მიმართ (თვით-ცენზურა);
2. კონტროლირებადი მედია.

მედია ტურაშვილის მოსაზრებით, ქართულ-აფხაზური დიალოგის ქართველი მონაწილეები ხშირად თავს არიდებენ დიალოგის შესახებ ინფორმაციის გახმაურებას, რადგან ანგარიშს უწევენ აფხაზი მონაწილეებისთვის რაიმე სახის დისკომფორტის წარმოქმნას. ქართველი მონაწილეების ეს ქმედება განპირობებულია იმ აგრესიის საფრთხით, რომელიც შეიძლება დაატყდეს თავს დიალოგის აფხაზ მონაწილეებს მედიის მხრიდან ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში<sup>73</sup>. რაც შეეხება ქართულ-აფხაზური დიალოგის აფხაზ მონაწილეებს, ისინი თავს არიდებენ ქართველებთან ურთიერთობის აფიშირებას მედიაში შიდა-სოციალური განწყობების გამო. ძალადობრივი კონფლიქტის შედეგად ტრავმირებულ აფხაზ საზოგადოებაში ქართველებთან ნებისმიერი სახის ინტერაქცია ეჭვს იწვევს და ასეთი ფაქტები ხშირად ხდება სხვადასხვა ტიპის დაძაბულობის მიზეზი. ამ თემის მიმართ სენსიტიურობას ხშირად იყენებენ ადგილობრივი აქტივისტები ოპონენტების კრიტიკისთვის<sup>74</sup>. ასეთი მოცემულობა ბუნებრივია ვერ უწყობს ხელს კონფლიქტის ტრანსფორმაციას და მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების მხრიდან მოითხოვს შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებას.

მეორე საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს კონტროლირებადი მედია და ამ კუთხით არსებული პრობლემები. პაატა ზაქარეიშვილის მოსაზრებით, საქართველოში არსებული ე.წ. „სახელისუფლებო მედია“ ხშირად კონფლიქტის თემის გაშუქებისას იყენებს პროპაგანდისტულ მეთოდებს. მან ამ გარემოების საილუსტრაციოდ მოიყვანა 2008 წელს არჩევნების პერიოდში განხორციელებული ქმედება, როდესაც ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა დაძაბულობა ამომრჩევლებზე ზეგავლენის მიზნით<sup>75</sup> და აფხაზები გალის მაცხოვრებლების მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში დაადანაშაულა. ზაქარეიშვილის თქმით, ამ ქმედებაში აქტიურად იყვნენ ჩართული მედიის წარმომადგენლები და ხელისუფლების შეკვეთას ასრულებდნენ.

ამავე პოზიციას იზიარებს „შერიგების რესურსების“ კავკასიური პროექტების მენეჯერი მირა სოვაკარი. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და აფხაზეთში მნიშვნელოვნად იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი, ტელევიზია კვლავ რჩება ლიდერ საინფორმაციო საშუალებად. შესაბამისად, ის გარემოება, რომ ტელევიზიები უმეტესწილად

<sup>73</sup> <http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/9A3B2D068BE4F76EC1256C1C0035E759-fewer-cauc-31dec.pdf>.

<sup>74</sup> LIANA KVARCHELIA, 2010, The Role of International NGOs in the Georgian-Abkhaz Conflict. Transformation Process, p. 57, <http://www.international-alert.org/pdf/Georgian-Abkhaz.pdf>

<sup>75</sup> <http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Khurcha.pdf>.

ხელმიუნვდომელია მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების მიერ შექმნილი პროდუქტებისთვის, ამცირებს ამ ტიპის ორგანიზაციების გავლენას საზოგადოებაზე<sup>76</sup>.

მედიისა და მშვიდობის მშენებლობის პროექტების კორელაციაზე საუბრისას შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ტიპის ტენდენციები, კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიიდან გამომდინარე, ხელს უშლის დიალოგის სათანადოდ გაშუქებასა და მის საზოგადოებაში გავრცობას, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესზე.

## თავი IV

### მშვიდობის მშენებლობის პროექტების მიმართ არსებული დაბრკოლებები

ზემოაღნიშნულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნდათ გარკვეული პრობლემები აფხაზეთში მუშაობის კუთხით, რაც წარმოადგენდა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით:

1. პოსტ-კონფლიქტური საზოგადოებების ცვლილებების მიმართ მგრძნობიარობიდან გამომდინარე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ხშირად იზღუდებოდა ადგილობრივი ხელისფლებების მხრიდან, რადგან მთავრობის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით აფხაზური მხრიდან, გააჩნდათ გარკვეული შიშები ოპოზიციის კრიტიკისა და საზოგადოების მხრიდან ნეგატიური განწყობების მიმართ. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ქართველ ჟურნალისტებს, რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა (ს)აო-ის მიერ ინიცირებულ პროექტებში, არ მიეცათ აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობის საშუალება დე-ფაქტო მთავრობის წარმომადგენლების უარყოფითი პასუხის გამო<sup>77</sup>. აფხაზი ექსპერტი, ლიანა კვარჩელია, თავის ერთ-ერთ ნაშრომში<sup>78</sup> აღნიშ-

<sup>76</sup> „ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის ფინანსური რესურსები, რომელიც გააჩნია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელი მედიის საშუალებებს: ამ უკანასკნელთ გააჩნიათ მეტი ფინანსური რესურსი და შესაბამისად აწარმოებენ მეტ მედია პროგრამებს. ამიტომაც არ არის გასაკვირი ის რომ მშვიდობაზე ორიენტირებული მედია პროდუქტები არის მცირე რაოდენობის სხვა მედია პროდუქტებთან შედარებით“, მირა სოვაკარი („შერიგების რესურსები“, კავკასიური პროექტების მენეჯერი).

<sup>77</sup> რეჟისორი მამუკა ყუფარაძე, რომელიც ბრიტანული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „შერიგების რესურსების“ დახმარებით იღებდა ფილმს „ნების არქონა“, ორი წლის განმავლობაში ელოდა აფხაზური მხრიდან ნებართვას აფხაზეთში გადაღების წარმოების თაობაზე. უარყოფითი პასუხის მიღების გამო, ფილმის პირველ ნაწილში მხოლოდ ქართული პერსპექტივა იქნა წარმოდგენილი. ნებართვა აფხაზეთში ფილმის გადაღების შესახებ დე-ფაქტო ხელისუფლებამ მხოლოდ 2010 წელს გასცა.

<sup>78</sup> LIANA KVARCHELIA, 2010, The Role of International NGOs in the Georgian-Abkhaz Conflict Transformation Process, p. 57, <http://www.international-alert.org/pdf/Georgian-Abkhaz.pdf>.

ნავს, რომ დემოკრატიის ოპონენტები აფხაზეთში იყენებდნენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემას შიდაპოლიტიკური დებატებისთვის და იდეოლოგიურ შეტევას ახორციელებდნენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. მისი თქმით, აფხაზ მოსახლეობაში დომინირებდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველებთან აზრი არ ჰქონდა დიალოგის წარმოებას, სანამ არ სცნობდნენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ეს დისკურსი კიდევ უფრო გამყარდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ. შეიძლება ითქვას, რომ პოსტ-კონფლიქტური მოცემულობა ადვილად მანიპულირებადსა და მგრძობიარეს ხდის ომის შედეგად ტრავმირებულ საზოგადოებებს პოლიტიკური პროცესების მიმართ, რაც, თავის მხრივ, გვევლინება ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებად მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

2. კიდევ ერთი დაბრკოლება, რომელიც გამომწვეულია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიზეზით, შეეხება იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობას, რომელთაც გააჩნიათ რეგიონული სათავო ორგანიზაციები თბილისში<sup>79</sup>. ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, მე-4 თავში გააჩნიათ პრინციპულად ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომელიც ითავლისწინებს რეგიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბლებობას აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, ისინი პრინციპულად არ ქმნიან ფილიალებს. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ფორმატის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა კონფლიქტის ზონაში შეზღუდულია<sup>80</sup>.

3. საქართველოს ხელისუფლებიდან შექმნილ პირველ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა „შლაინინგის პროცესში“ სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლებისთვის მონაწილეობის „აკრძალვა“. ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ შეცვალა სახელმწიფოს სტრატეგია კონფლიქტების მიმართ. ეს სტრატეგია გულისხმობდა საქართველოში არსებული კონფლიქტების რუსულ-ქართული დაპირისპირების პრიზმაში განხილვას, რაც, თავის მხრივ, უგულვებელყოფდა აფხაზურ საზოგადოებასთან დიალოგის წარმოების სარგებლიანობას. როგორც ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველოს ხელისუფლება ყველა საშუალებით ცდილობდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი გადაექცია ქართულ-რუსულ კონფლიქტად. ეს სტრატეგია ქართულ-აფხაზური დიალოგის კუთხით გამოვლინდა აფხაზური და ქართული

<sup>79</sup> ძირითადი მიზეზი იმისა, რის გამოც “შერიგების რესურსებმა” არ გახსნა ოფისები თბილისსა თუ სოხუმში, იყო ის რომ მას სურდა წაეხალისებინა ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები, მეორე, შეენარჩუნებინა აბსოლუტური ნეიტრალურობა რეგიონში კონფლიქტების მიმართ და მესამე, შეემცირებინა ადგილობრივი მთავრობების (ქართულისა და აფხაზურის თანაბრად) მხრიდან ზეგავლენის მცდელობა იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელია“, მირა სოვაკარი, („შერიგების რესურსები“ კავკასიური პროექტების მენეჯერი).

<sup>80</sup> „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები“-ს (ე.წ. „მოდულების“) მიღების შემდგომ იგივე შეიძლება ითქვას ქართულ მხარეზეც, შედარებისთვის იხ. <http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/statement.pdf>.

საზოგადოებების ინტერაქციისთვის არსებული საუკეთესო პროექტის, „შლაინინგის პროცესის“ ჩაშლაში. გარდა ამისა, მთავრობის მხრიდან ასეთი მიდგომის არსებობამ სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულ ნრეებში ჩამოაყალიბა თვით-რეგულაციის ფენომენი, რომელიც გულისხმობდა დუმის საშუალებით სახელისუფლებო პოზიციის მხარდაჭერას. ასეთი ფენომენის არსებობამ, თავის მხრივ, შეზღუდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში.

4. ამჟამად არსებულ დაბრკოლებებს შორის შეგვიძლია მივიჩნიოთ ის კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ვერტიკალების მიერ 2008 წლის შემდეგ დამდგარი ახალი რეალიებიდან გამომდინარე, მათ შორის, კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ<sup>81</sup>, „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“<sup>82</sup> და „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები“<sup>83</sup>. განსაკუთრებულ დაბრკოლებას წარმოადგენს ბოლოს ნახსენები ე.წ. „მოდალობების“ დოკუმენტი („საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები“), რომელიც ზღუდავს, არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ არაკომერციულ და არასამეწარმეო საქმიანობასაც. აღნიშნულ დადგენილებას გააჩნია მინიმუმ სამი უარყოფითი მახასიათებელი:

ა) ეს დოკუმენტი ქმნის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე კონტროლის მექანიზმს, რომელიც აძლევს მთავრობას შესაძლებლობას თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ნდობის მშენებლობისკენ მიმართული სამოქალაქო ინიციატივები. ასეთი პრეცედენტი ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოებაზე დაფუძნებული სახელმწიფოს იდეას და შეუძლებელია იგი გამართლდეს ამ საკითხის „ოკუპაციურ განზომილებაში“ მოქცევით.

ბ) გარდა ამისა, დოკუმენტში განსაზღვრული პროცედურების მიხედვით, სახელმწიფო მინისტრის აპარატს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია გააჩეროს მიმდინარე და ახალი პროექტები, თუ ისინი საქართველოს ხელისუფლების პოზიციებსა და მიდგომებს არ შეესაბამება. მაგალითისთვის, სამშვიდობო პროექტების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს<sup>84</sup> (შეფასების კრიტერიუმების დ. პუნქტი) წარმოადგენს მოთხოვნა, რომ ურთიერთობების აღდგენის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა და მხოლოდ ამ ტერიტორიიდან დევნილი ადამიანები. ასეთი მიდგომა თავისთავად ეწინააღმდეგება კონ-

<sup>81</sup> <http://idpclub.ge/uploads/prodimgs/d45df2dbf728f5810698a3c09cec026a.pdf>

<sup>82</sup> <http://www.smr.gov.ge/uploads/file/strategy.pdf>

<sup>83</sup> <http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/statement.pdf>

<sup>84</sup> საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები, მუხლი 6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი პროექტის შეფასების კრიტერიუმები, <http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/dadgenileba%20320.pdf>.



ფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიასა და შეუძლებელია ხელშესახები შედეგები მოიტანოს, ვინაიდან, თუ კონფლიქტი არ ტრანსფორმირდა საზოგადოების თითოეულ ფენაში, პოზიტიური მშვიდობაზე საუბარიც კი ზედმეტია.

გ) ქართულ-აფხაზური დიალოგის პროცესში მნიშვნელოვანი დაბრკოლება შესაძლებელია გახდეს ენ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები<sup>85</sup>. მოდალობების დოკუმენტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „იმ შემთხვევაში, თუ პროექტით გათვალისწინებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანა, ამ ადამიანების მგზავრობა უნდა განხორციელდეს, ან საქართველოს საზღვარგარეთის პასპორტით, ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტით“. მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტებს არ ექნებათ საქართველოს სიმბოლიკა და სახელიდან გამომდინარე თითქოს, მართლაც ნეიტრალურ დოკუმენტს წარმოადგენს, იმ ფაქტმა, რომ ის საქართველოს მთავრობის მიერ იქნება გაცემული, შესაძლებელია მიგვიყვანოს სავალალო შედეგებამდე. ეს შედეგები შესაძლებელია გამოიხატოს ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგის საბოლოო ჩაშლაში. სავარაუდოდ, ასეთმა რეალობამ შესაძლებელია გამოიწვიოს აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის იზოლაცია საქართველოს მხრიდან და გაზარდოს მათი დამოკიდებულება რუსეთზე, რაც, რასაკვირველია, არ შედის საქართველოს საზოგადოების ინტერესებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით მოდალობების მოქმედება ჯერ-ჯერობით შეჩერებულია. ივლიანე ხაინდრავას მოსაზრებით, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ეს დოკუმენტი „დამოკლეს მახვილივით“ არის აღმართული მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების წინააღმდეგ და ხელისუფლება სურვილის შემთხვევაში აამოქმედებს მას მათთვის არასასურველი პროექტის გაჩერების მიზნით.

რაც შეეხება, უშუალოდ „სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“, იგი მშვიდობის მშენებლობის პროცესის მიმართ დაბრკოლებას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც ამ დოკუმენტის არსებობამ შეუქმნა აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ადგილობრივი საზოგადოებისა და რადიკალური ჯგუფების მხრიდან. მირა სოვაკარის მოსაზრებით, აფხაზეთში არსებული ადგილობრივი ორგანიზაციების კავშირები საერთაშორისო და განსაკუთრებით ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან აფხაზური საზოგადოებაში ეჭვს იწვევს და ხშირად აგრესიის მიზეზი ხდება, რამდენადაც ისინი აღიქმება როგორც ქართული სტრატეგიის ხელშემწყობი საშუალებები, ხოლო ის პირები, რომლებიც ჩართული არიან ქართველებთან დიალოგში, განიხილებიან როგორც „მოღალატეები“. მისი თქმით, ასეთი რეალობა ამჭიდრო-

<sup>85</sup> იქვე. მუხლი 7. განსაკუთრებული წესები, პუნქტი 3.

ვებს სივრცეს მშვიდობის მშენებლობისთვის და უკიდურესად ართულებს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას კონფლიქტს ტრანსფორმაციისთვის.

5. ქართულ-აფხაზური დიალოგის უკანასკნელ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა შეხვედრის ადგილზე შეთანხმება. „შლანინგის პროცესის“ ფარგლებში მიმდინარე ქართულ-აფხაზური შეხვედრები იმართებოდა ევროპაში, არცერთი შეხვედრა არ გამართულა აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ეს არ იყო დამახასიათებელი მხოლოდ ამ პროექტისთვის, ასეთივე ფორმატი იყო, პოლა გარბის მიერ ინიცირებულ პროექტში<sup>86</sup>, რომელიც ასევე ხორციელდებოდა საზღვარგარეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის (ირვანინი) ეგიდით. შეჯამების სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ქართულ-აფხაზური დიალოგის ფორმატში შეხვედრათა დიდი უმრავლესობა იმართებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ოლივერ ვოლე საკუთარ ნაშრომში<sup>87</sup> ასეთი ტიპის დაბრკოლების განხილვისას აღნიშნავს, რომ ამ პრობლემას გააჩნია „კომპლექსური ხასიათი“, რომელიც, ერთი მხრივ, განპირობებული იყო აფხაზ მონაწილეებში საქართველოში ჩასვლის სურვილის ნაკლებობით, მეორე მხრივ კი, გააჩნდა პოლიტიკური და სიმბოლური ხასიათი. ქართველი მონაწილეებისთვის აფხაზეთში შესაძლო შეხვედრის ალბათობა არ ასოცირდებოდა ნეგატივთან, პირიქით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს აღიქმებოდა აშკარა პოზიტივად და წინ გადაგმულ ნაბიჯად აფხაზური ანკლავის ქართულ სახელმწიფოში რეინტეგრაციისკენ. რაც შეეხება აფხაზებს, ისინი ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილი საქართველოში ვიზიტების გამართვის იდეის მიმართ შემდეგი მიზეზების გამო:

- მათ მიაჩნდათ, რომ შეხვედრების საქართველოში გამართვის შემთხვევაში ქართველი პოლიტიკოსები და მედიის წარმომადგენლები მოახდენდნენ ამ ფაქტის მათთვის სასარგებლოდ ინტერპრეტაციას, ანუ შეეცდებოდნენ მათი ვიზიტები საქართველოში წარმოეჩინათ აფხაზეთის საქართველოსთან დაახლოებად<sup>88</sup>.
- აფხაზებისთვის ქართველებთან შეხვედრა უფრო მომგებიანი იყო ევროპაში: ა) აცილებული იქნებოდა შეხვედრების „ყალბი შეფა-

<sup>86</sup> <http://www.socsci.uci.edu/~cpb/progs/georgiaNew.htm>

<sup>87</sup> Oliver Wolle, A Difficult Encounter d The Informal Georgian-Abkhazian Dialogue Process, 2006, [http://www.berghof-peacesupport.org/publications/SC\\_Difficult\\_Encounter.pdf](http://www.berghof-peacesupport.org/publications/SC_Difficult_Encounter.pdf)

<sup>88</sup> “გარდა ამისა ისინი სერიოზული შეშფოთებით უყურებდნენ იმ რეაქციებს, რომელიც მოსალოდნელი იყო საქართველოში ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან. თითქმის ყველა ვიზიტი, რომელიც განხორციელდა აფხაზების მიერ საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში ხდებოდა გახმაურების გარეშე. ბოლო შეხვედრა საქართველოში, რომელიც მონაწილეობა მიიღო აფხაზმა სამოქალაქო აქტივისტმა განხორციელდა წყალტუბოში ფილმების ფესტივალის „მე ადამიანი“ ფორმატში 2009 წელს“, მირა სოვაკარი („შერიგების რესურსები, კავკასიური პროექტების მენეჯერი).

სება”, ბ) მესამე ქვეყანაში ქართველებთან შეხვედრა აფხაზებში აღიქმებოდა როგორც მათი არაპირდაპირი აღიარება, გ) ევროპაში ვიზიტები მათ უხსნიდა რუსეთისგან დამოუკიდებელ, ახალ შესაძლებლობებს, ასევე ხელს უწყობდა ევროპელებთან კავშირის დამყარებას, დ) როგორც აფხაზი, ასევე ქართველი მონაწილეებისთვის ევროპაში ვიზიტი მიმზიდველი გახლდათ, შესაბამისად, ესეც იყო დამატებითი მოტივაცია აფხაზებისთვის უარი ეთქვათ საქართველოში შეხვედრების გამართვაზე<sup>89</sup>.

---

<sup>89</sup> Oliver Wolleh, 2006, A Difficult Encounter d The Informal Georgian-Abkhazian Dialogue Process, , [http://www.berghof-peacesupport.org/publications/SC\\_Difficult\\_Encounter.pdf](http://www.berghof-peacesupport.org/publications/SC_Difficult_Encounter.pdf).


## თავი V

### მშვიდობის მშენებლობაში არასახელმწიფო აქტორების ჩართულობის ეფექტიანობა: ქართული სამოქალაქო სექტორის ხედვა

(ფოკუს ჯგუფთან მუშაობის შედეგები)

სამშვიდობო პროექტების ანალიზისა და შეფასებისთვის შევქმენით სპეციალური მეთოდი, რომელიც ეფუძნება მშვიდობის მშენებლობის ზოგად პრინციპებს. კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიასა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, გამოვყავით შეფასების 7 კრიტერიუმი<sup>90</sup>, რომლის ფარგლებშიც გავაანალიზეთ სამოქალაქო ინიციატივების გავლენა კონფლიქტის დინამიკაზე. შეფასების ეს სისტემა შევთავაზეთ ფოკუს ჯგუფს, რომლის ფარგლებშიც მოხდა მშვიდობის მშენებლობის პროცესის თითოეული კრიტერიუმით შეფასება.

ფოკუს ჯგუფთან<sup>91</sup> ჩატარებულმა სამუშაომ მოგვცა შემდეგი სახის შედეგები:



<sup>90</sup> დანვრილებით ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების შესახებ იხილეთ ნაშრომის დანართში.

<sup>91</sup> ფოკუს ჯგუფთან ჩატარებულ სამუშაოს შედეგებში შეგნებულად არ არის დაკონკრეტებული თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის მოსაზრება, რადგან კვლევის ავტორებმა მიიჩნიეს რომ ინტერვიუების ასეთი ფორმატი უზრუნველყოფდა გამოკითხულების მაქსიმალურ გახსნილობას. რაც შეეხება გამოკითხულებს, მათი სია შესაძლებელია იხილოთ დანართში.

როგორც შეფასების დიაგრამაზე გამოსახული, ექსპერტები და სამოქალაქო დიალოგის მონაწილეები, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მხრივ, სუკეთესო მაჩვენებლად მიიჩნევენ მთავრობაზე ზენოლის განხორციელებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან. ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული იყვნენ ქართულ-აფხაზურ დიალოგში მუდმივად ახდენდნენ კონფლიქტური ზონების მიმართ მთავრობის ქმედებებისა თუ განცხადებების მონიტორინგს. მისი თქმით, ქართულ-აფხაზური დიალოგის მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება დაყრდნობდნენ არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, არამედ მიეღოთ გარკვეული ცნობები კონფლიქტის ზონიდან, დიალოგის შედეგად ჩამოყალიბებული კავშირების დახმარებით. ასეთი რეალობა კი იძლეოდა საშუალებას ორივე მხრიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეფასებულიყო მთავრობის ესა თუ ის ნაბიჯი. იმავე ექსპერტის მოსაზრებით, ეს რეალობა ამარტივებდა ვითარებაზე დაკვირვების შესაძლებლობას. მათ მიერ საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ურთულებდა ხელისუფლებას კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაცია გამოეყენებინა საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები თანხმდებიან, რომ ხელისუფლებაზე მიმდინარებოდა მნიშვნელოვანი ზენოლა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ ამ ქმედებებს არ ჰქონდა ადეკვატური უკუკავშირი არც მთავრობისა და არც საზოგადოების მხრიდან. კერძოდ, ექსპერტთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ ხდებოდა საზოგადოებისთვის მუდმივ რეჟიმში ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, ისინი მაინც ვერ ახერხებდნენ იმ „იდეოლოგიური აპარატის“ დაძლევას, რომელიც გააჩნია ხელისუფლებას. ერთ-ერთმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან მედიის მასშტაბური კონტროლი ვერ აძლევდა კომპეტენტურ პირებს სათანადო მიენოდებინათ ინფორმაცია საზოგადოებისთვის.

როგორც დიაგრამაზე გამოსახული, ერთნაირი შეფასებები აქვს გაკეთებული „კონფლიქტის ანალიზის ხარისხსა“ და „დიალოგის პროცესის წარმატებულობას“. გამოკითხული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით მომზადდა უამრავი ბროშურა, ჟურნალი თუ კვლევა, სადაც მოცემული იყო საქართველოში არსებული კონფლიქტების მრავალმხრივი ანალიზი. გამოკითხულებმა კონფლიქტის ანალიზის მაგალითად მოიყვანეს შემდეგი ჟურნალები და პუბლიკაციები: ჟურნალი „აკორდი“<sup>92</sup> (შერიგების რესურსები), „ქარულ-აფხაზური კონფლიქტის ასპექტები“ (კალიფორნიის უნივერსიტეტი, ირვინი; ასევე „საერთო განგაში“, „შერიგების რესურსები“ და „ჰაინრიხ ბოლის ფონდი“, რომლებიც თანამშრომლობდნენ კალიფორნიის უნივერსიტეტთან

<sup>92</sup> <http://www.c-r.org/our-work/accord/georgia-abkhazia/contents.php>.

<sup>93</sup> Publications From Georgian-Abkhaz Dialogue Conferences, <http://www.socsci.uci.edu/~cpb/progs/projpubs.htm>.

ამ პუბლიკაციების გამოცემასთან დაკავშირებით)<sup>93</sup>, სადისკუსიო მასალები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ („ბერჰოფის ცენტრი“ და „მერიგების რესურსები“)<sup>94</sup> და „სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები: საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში“<sup>95</sup> („საერთაშორისო განგაში“). გარდა ამისა, ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ჟურნალი „დრო მშვიდობისა“<sup>96</sup>, რომელიც არ სარგებლობს რაიმე ფინანსური თუ სხვა სახის მხარდაჭერით იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც ამ კვლევაში იყო ასახული, თუმცა, საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზის შეფასებისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ამ ჟურნალზე საუბარს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა დიდი ნაწილი თანხმდება კონფლიქტის ანალიზის მაღალ ხარისხს, ზოგიერთი ექსპერტი ცალსახად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეს ანალიზი სათანადოდ ვერ მიენოდა საზოგადოების ფართო ფენებს, ვერ მოხერხდა მისი საზოგადოებამდე მიტანა და გააზრება.

ასევე საგულისხმო იყო ის შეფასებები, რომელიც გამოკითხულებმა მიაკუთვნეს „ახალი იდეების გენერირების“ კრიტერიუმს. ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ამ კომპონენტში, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა შესაძლებელია შეფასდეს წარმატებულად. ახალი იდეების გენერირების მაგალითებად გამოკითხულმა ექსპერტებმა მოიყვანეს ის რეკომენდაციები და მიდგომები, რომლებიც შემუშავდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, კერძოდ, „სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები: საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში“ („საერთაშორისო განგაში“), „კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“<sup>97</sup> და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ შემუშავებული დოკუმენტი „მომავლის გასაღები“. ერთ-ერთი ექსპერტის განმარტებით, იდეა - ბოლოს ნახსენები ორი დოკუმენტის შექმნის შესახებ, „შლაინინგის პროცესის“ მიმდინარეობისას დაიბადა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერცერთმა ხორცი ვერ შეისხა. ერთ-ერთი გამოკითხული ექსპერტის მოსაზრებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ძირითადი სისუსტე ამ კომპონენტში იყო ის, რომ არ არსებობდა ახალი იდეებისა და რეკომენდაციების ლობირების სტრატეგიები. მისი განმარტებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ დადებული რეკომენდაციების არმიღება არ შეიძლება მხოლოდ ხელისუფლების ანტაგონისტურ განწყობებს მივანეროთ. მისი თქმით, საქართველოს სამოქალაქო სექტორში არ არსებობს დასავლეთში აპრო-

<sup>94</sup> [http://www.berghof-conflictresearch.org/documents/publications/GA\\_DiscussionPack.pdf](http://www.berghof-conflictresearch.org/documents/publications/GA_DiscussionPack.pdf)

<sup>95</sup> <http://www.international-alert.org/pdf/Georgian-Abkhaz.pdf>.

<sup>96</sup> <http://www.iccn.ge/Peace-Times-Magazine/>.

<sup>97</sup> <http://zakareishvili.com/pdf/koncefcie.pdf>.

ბირებული ლობირებისა და ადვოკატირების პრაქტიკა, რასაც, საბოლოო ჯამში, უარყოფით შედეგებამდე მივყავართ, კერძოდ, „საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან იხარჯება სოლიდური რაოდენობის ფინანსები პრობლემური საკითხების კვლევისა და ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების მომზადებაში, თუმცა ეს რეკომენდაციები თუ შეთავაზებები ხორცშესხმას ვერ ჰპოვებენ ისევ და ისევ არასათანადო ადვოკატირების წარმოების გამო“. იმავე ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სამოქალაქო საზოგადოების წინაშე მდგარ ერთ-ერთ გამონკვევას სწორედ დასავლეთში აპრობირებული ადვოკატირების პრაქტიკის დანერგვა წარმოადგენს და ეს არ ეხება მხოლოდ კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

რაც შეეხება დიალოგის პროცესს, ექსპერტებს გაუჭირდათ შეფასების მიცემა ამ კრიტერიუმში. ამ კრიტერიუმზე საუბრისას აუცილებელია შევნიშნოთ, ის ფაქტი, რომ გამოკითხულები წარმოადგენდნენ ქართულ-აფხაზური დიალოგის პროექტების ინიციატორებს თუ არა, მონაწილეებს მაინც. შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ დიალოგის პროცესის შეფასება მათ მიერ არ გამორიცხავდა სუბიექტურობის გარკვეულ ხარისხს. ინტერვიუების დროს ეს ფაქტი ზოგიერთმა ექსპერტმა თავად აღნიშნა. მიუხედავად არსებული სირთულისა, გამოკითხულებმა სცადეს ნაწილობრივ მაინც გამოსულიყვნენ სუბიექტურობის სივრციდან და ყოფილყვნენ თვით-კრიტიკულები. ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ დიალოგის პროცესი შესაძლებელია შეფასდეს დადებითად. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ არა ეს პროექტები, ვერ ჩამოყალიბდებოდა ადამიანების ის ჯგუფები ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის, რომელთაც გააზრებული აქვთ მშვიდობის უპირატესობა და საკუთარ პოზიციებს აგებენ არა მითიურ წარმოდგენებზე, არამედ გააზრებულ „ძირითად მოთხოვნილებებზე“. თითქმის ყველა ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად შეძლეს ისეთი კომუნიკაციის ფორმატის შექმნა, რომელმაც საზოგადოების დიდ ნაწილს საშუალება მისცა დაემყარებინა ურთიერთობები მეორე მხარესთან. ჩატარებული სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა ამტკიცებს ამ მოსაზრების რეალურობას. ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქართულ-აფხაზურმა დიალოგმა მოიცვა სხვადასხვა პროფესიული და სოციალური ჯგუფები, მათ შორის: პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ექს-კომბატანტები, დევნილები, ახალგაზრდები, მწერლები, ექიმები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და ა.შ. თუმცა, იმავე ექსპერტმა იქვე აღნიშნა, რომ დიალოგის პროცესი მაინც შეზღუდულია და, შესაბამისად, შეუძლებელი იყო თითოეული მოქალაქის მასში ჩართვა, მით უმეტეს მაშინ, როცა შეხვედრების უმრავლესობა საზღვარგარეთ იმართებოდა და გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. დიალოგის პროცესის ნაკლოვანებაზე საუბრისას გამოკითხულთა ნაწილმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო სექტორმა ვერ მოახერხა საზოგადოებაში დიალოგის პროცესის გავრცობა,

კერძოდ, ვერ დაძლია ის სტერეოტიპები და პრეჯუდიციები, რომელებიც ქმნის „ომის კულტურას“, ანუ „ომის კულტურიდან“ „მშვიდობის კულტურაში“ გადასვლა ნარუმატებელი აღმოჩნდა.

ამ ფაქტს ადასტურებს ის მაჩვენებლები, რომლითაც შეაფასეს გამოკითხულმა ექსპერტებმა ქვემოთ ჩამოთვლილი სამი კომპონენტი: 1. სტერეოტიპების ნგრევა, 2. ძალადობის ფორმების აღმოფხვრა და 3. საზოგადოების ცნობიერების ამალღება. გამოკითხულებმა სამ-სამი ქულა მიაკუთვნეს საზოგადოებაში სტერეოტიპების ნგრევასა და ძალადობის ფორმების აღმოფხვრას, ხოლო ორი ქულით შეაფასეს საზოგადოების ცნობიერების ამალღება. როგორც ზემოთ მოცემულ ოთხ კომპონენტში, ამ შემთხვევაშიც არ დაფიქსირებულა ექსპერტების შეხედულებებს შორის მკვეთრი განსხვავება. მათი უმეტესობა თანხმდება, რომ დიალოგის პროცესმა ვერ ჰპოვა განვრცობა საზოგადოებაში და შემოიფარგლა მცირე ჯგუფებით ისევ და ისევ ფინანსური რესურსების შეზღუდულობის გამო. ერთ-ერთმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ უარყოფითი სტერეოტიპების არსებობას ხელს უწყობს ის მედია სივრცე, რომელსაც სავსებით თავისუფლად შეგვიძლია ვუნოდოთ პროპაგანდისტული. იმავე ექსპერტის აზრით, აფხაზებთან დიალოგის პროცესს საქართველოში არსებული ტელევიზიები უარყოფით ან პროპაგანდისტულ ჭრილში აშუქებენ, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გამოძახილს იწვევს აფხაზურ საზოგადოებაში, კერძოდ, ქართული ტელევიზიების მიერ მომზადებული რეპორტაჟები ხშირად გამხდარა სამოქალაქო დიალოგის პროცესის შეჩერების მიზეზი. გარდა ამისა, ექსპერტებმა განსაკუთრებულად გაამახვილეს ყურადღება აფხაზურ საზოგადოებაში არსებულ უარყოფით სტერეოტიპებსა და განწყობებზე ქართველების და ზოგადად საქართველოს მიმართ. ერთ-ერთმა გამოკითხულმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში უარყოფითი სტერეოტიპები უფრო მძლავრობს ახალგაზრდა თაობაში. ეს ფაქტი მან იმით ახსნა, რომ აფხაზეთში არსებობს „პროპაგანდისტული გარემო“, რომელიც ხელს უწყობს გაბატონებული დისკურსის სიმყარეს და შეხედულებათა პლურალიზმს მინიმუმამდე ამცირებს. ამ გარემოს ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ელემენტი არის ტელევიზიები და ზოგადად მედია, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ მედია სივრცე განაპირობებს უარყოფითი სტერეოტიპებისა და განწყობების ჩამოყალიბებას. გამოკითხულთაგან ერთ-ერთმა დანაწილებით აღნიშნა, რომ პოლიტიკური ელიტები ხშირად მანიპულირებენ საზოგადოებებით, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება სტერეოტიპების ნგრევაზე<sup>98</sup>. იმავე

<sup>98</sup> „გარდა ამისა, მე ხშირად მომისმენია აფხაზი ახალგაზრდებისგან რომ მათსა და ქართველ თანატოლებს შორის ერთადერთი კონტაქტის საშუალება არის ბლოგები და ინტერნეტ რესურსები, სადაც სამუნხაროდ ქართველი ახალგაზრდები აფიქსირებენ საკუთარ სტერეოტიპულ განწყობებს და აკეთებენ აგრესიულ და უპატივცემულო კომენტარებს აფხაზების მიმართ. ეს თავის მხრივ აფხაზ ახალგაზრდებს ხელს აღებინებს ქართველებთან ჩართულობის იდეაზე. ბევრი ჩვენი პროექტის ახალგაზრდა მონაწილე სასიამოვნოდ გაცოცხლებული იყო იმ ფაქტით, რომ ისინი შეხვდნენ ისეთ ქართველ თანატოლებს ჩვენი პროექტის ფარგლებში, რომელთანაც შესაძლებელი იყო საუბრის წარმოება“, მირა სოვაკარი, („შერიგების რესურსები“, კავკასიური პროექტების მენეჯერი).



ექსპერტის აზრით, შედარებით მცირე რესურსები დაიხარჯა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია უარყოფითი სტერეოტიპებისა და განწყობების ცვლილებაზე. მისი აზრით, სწორედ ეს მიმართულებები შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სექტორის ჩავარდნად. მან აღნიშნა, რომ საქართველოში არსებულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს ის, რომ მილიტარისტული პოლიტიკა ექციათ არაპოპულარულ ფენომენად, რის გამოც, საბოლოო ჯამში, მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს ომი.

ძალადობის ფორმებზე საუბრისას აღინიშნა, რომ ესეც შეიძლება ჩაითვალოს იმ სფეროდ, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა „მარცხი განიცადეს“. ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ საქართველოში კვლავ არსებობს „მეორეხარისხოვანი მოქალაქეები“ ადასტურებს კულტურული ძალადობის ფორმების არსებობას. მისი თქმით, სტრუქტურულად საქართველოში ყველა მოქალაქე თანასწორია, რასაც ადასტურებს საქართველოს კონსტიტუცია, თუმცა, არსებული კულტურული ფენომენები არ აძლევს ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას პოლიტიკურ ბრძოლაში წარმატების მიღწევის საშუალებას, მეტიც, ეთნიკური უმცირესობები პოლიტიკურად ინდიფერენტულები არიან და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალია. ასეთი რეალობა, პირდაპირ თუ არა ირიბად, აისახება არსებულ ეთნიკურ კონფლიქტებზე. ერთ-ერთი გამოკითხულის აზრით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორი იქნება საქართველო მომავალში - იქნება ის მონო-ეთნიკური ნაციონალიზმზე დამყარებული სახელმწიფო, თუ შედგება როგორც ერი-სახელმწიფო, რომელიც სამოქალაქო ნაციონალიზმს დაეფუძნება.

## დასკვნა

ამგვარად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია ამომწურავად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გაეცეს პასუხი კვლევის მთავარ შეკითხვას.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს აფერხებს მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც სცდება სამოქალაქო სექტორის ფარგლებს და ღრმად არის გამჯდარი ჩვენი საზოგადოების აზროვნებაში:

1. პირველ რიგში, ნიშანდობლივია აღინიშნოს ის რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულებები, რომლებიც არსებობს საქართველოში კონფლიქტის დარეგულირებაზე მომუშავე მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის. კონფლიქტის შესახებ განსხვავებული წარმოდგენები იწვევს არა მხოლოდ კოორდინაციისთვის შეზღუდული სივრცის არსებობას, არამედ მთავრობის მხრიდან გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი ხელს უშლის კიდევ პროცესის განგრძობადობას. ამ კოლიზიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს „შლანინგის პროცესის“ დაბლოკვა და მთავრობის მხრიდან მიღებული კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ქმნის არაკომფორტულ გარემოს ან ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას კონფლიქტის დარეგულირების კუთხით (მაგ. მოდალობების დოკუმენტი)<sup>99</sup>. ამ დაძაბულობაზე პასუხისმგებლობა აქვს როგორც მთავრობას, ასევე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ნაწილი რადიკალურად უპირისპირდება ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, რაც, თავის მხრივ, ამჭიდროვებს სივრცეს დიალოგისათვის და გამორიცხავს თანამშრომლობის არსებობას.

2. ასეთი ტენდენციები ვლინდება არა მხოლოდ ხელისუფლება VS სამოქალაქო საზოგადოების, არამედ მედიის დონეზეც. ეს განსაკუთრებით ეხება ე.წ. სამთავრობო ტელევიზიებს, რომლებიც ორიენტირებული არიან არა ფართო საზოგადოებისათვის რეალური ფაქტებისა და მოვლენების კომპეტენტურად მიწოდებაზე, არამედ, პირიქით, გვევლინებიან ერთ-ერთ ძირითად ხელშემშლელ ინსტიტუტებად. აღნიშნული ტელევიზიები ხელს უწყობენ მეორე მხარის დეჰუმანიზაციასა და აღრმავებენ გახლეჩილ საზოგადოებებში პოლარიზაციის ტენდენციებს. მედია პროდუქტები, რომელიც იქმნება მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების მიერ, ვერ ჰპოვებს საკმარის ასახვას მედია სივრცეში (მაგალითად, მ. ყუფარაძის ფილმი „ნების არქონა“ დღემდე არ უჩვენებიათ არც საზოგადოებრივი მაუწყებლისა და არც სხვა ძირითადი კერძო ტელევიზიებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფილმის მიმართ საზოგადოებაში ინტერესი მაღალია)<sup>100</sup>. ეს გარემოება ამცირებს მედიის, როგორც საზოგადოებრივი აზრის მაფორმირებელი ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტის, ფუნქციას მშვიდობის მშენებლობის სფეროში.

<sup>99</sup> <http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/dadgenileba%20320.pdf>.

<sup>100</sup> <http://www.media.ge/ka/node/6584>.

3. მესამე დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც ასევე ხელს უშლის პროცესის წინსვლას, უშუალოდ დაკავშირებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობასთან. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული ადგილობრივი მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების გავლენა საზოგადოების ქვედა რგოლზე (გრასსროტს) მიზერულია (ამას ადასტურებს ფოკუს ჯგუფში შემავალი ექსპერტების მოსაზრებები)<sup>101</sup>, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, მათი „ხელოვნურობა“ (ისინი არ წარმოადგენენ დასავლეთში არსებულ ტიპურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ძირითადად საერთაშორისო დონორების ხარჯზე არსებობენ) და, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ კონფლიქტის დარეგულირების კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად ორიენტირებული არიან დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის წარმოებაზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შიდა საზოგადოებრივ საქმიანობას. დიალოგის პროცესის **გაუფრცვლებლობა** კი ინვევს სამშვიდობო პროცესის შეზღუდვას ადამიანთა მცირე ჯგუფებამდე, რაც, თავის მხრივ, არ უწყობს ხელს საზოგადოებაში სამშვიდობო ინფრასტრუქტურის გაფართოებას. ამ მხრივ აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების მუშაობის გააქტიურება, განსაკუთრებით რეგიონებში, რათა მოხდეს სამშვიდობო იდეებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების მეთოდების კულტივირება.

4. კვლევის პროცესში გაირკვა, რომ მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციებს შორის (როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო) კოორდინაციის დონე საკმაოდ დაბალია. ამას განაპირობებს რიგი ფაქტორებისა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული კონკურენცია. ამ პრობლემის არსებობა ქმნის დამატებით წინააღმდეგობებს და აფერხებს მშვიდობის მშენებლობის პროცესს. კერძოდ, კოორდინაციის ნაკლებობა ინვევს მშვიდობის მშენებლობის ინიციატივებისა და თუ პროექტების დუბლირებას<sup>102</sup> და არა მშვიდობის პროცესის სინერგიას. გარდა ამისა, კოორდინირებული მოქმედებების სიმცირე აფერხებს, ერთი მხრივ, კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესისთვის შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებას, მეორე მხრივ კი, - სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენის მკვეთრ შემცირებას ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე.

5. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის სფეროში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გააჩნიათ კიდევ ერთი დამატებითი სისუსტე, რომელიც დაკავშირებულია ადვოკატირების სტრატეგიების სათანადოდ არ გამოყენებასთან. მრავალწლიანი გამოცდილება საექსპერტო საზოგადოებას საშუალებას აძლევს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესის ხელშეწყობისთვის შეიმუშავოს შესაბამისი ხედვები და რეკომენდაციები მთავრობისთვის, თუმცა ადვოკატირების სტრატეგიების შესაბამისად არ გამოყენების გამო, ვერ ხდება ამ ხედვების ხელისუფლების

<sup>101</sup> იხ. თავი V.

<sup>102</sup> <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/Georgian-Abkhaz.pdf>.

გადაწყვეტილებებში რელიევანტური ასახვა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ „საერთაშორისო განგაშის“ მიერ განხორციელებული პროექტი „დიალოგი კვლევის გზით“. ამ პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევები და რეკომენდაციები გამოირჩევა აკადემიურობითა და აქტუალობით, თუმცა პროექტში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული მომზადებული რეკომენდაციების ადვოკატირება, რაც ამცირებს პროექტის გავლენას კონფლიქტის დინამიკაზე (პოზიტიური ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა მცირდება). არსებული რეალობა საჭიროებს სამაქოლაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში მნიშვნელოვან კორექტირებას, რაც გულისხმობს სამოქალაქო სექტორში დასავლეთში არსებული ადვოკატირების სტრატეგიების დანერგვას.

6. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში არსებული „მითოლოგიზირებული კონფლიქტის“ ფენომენი. ორივე საზოგადოებაში არსებობს მითოლოგიური წარმოდგენები კონფლიქტის მიზეზების შესახებ. ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულ ერთ-ერთ მითია ის, რომ ამ კონფლიქტის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკა. ეს მითი, ერთი მხრივ, უარყოფს საკუთარ პასუხისმგებლობას კონფლიქტის წარმოქმნის შესახებ, მეორე მხრივ კი, უგელვებელყოფს აფხაზური საზოგადოების ძირითად მოთხოვნებს, ინტერესებსა და შიშებს. ამას განაპირობებს კულტურული ძალადობის ის ფორმები, რომლებიც არსებობს ქართულ საზოგადოებაში სსრკ-ს ეპოქიდან, რაც არ აძლევს მას კონფლიქტის სწორი დიაგნოზირების საშუალებას, მის გარეშე კი შეუძლებელია პროგნოზისა და შესაბამისი თერაპიის განხორციელება. ამგვარად, მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა სწორედ ამ კუთხით უნდა იქნას წარმართული, რომელიც უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ აკადემიურ საქმიანობას კონფლიქტის კვლევის კუთხით, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან აქტიურ მუშაობას, რამდენადაც კონფლიქტის დე-მითოლოგიზაციისა („კონფლიქტზე მიჯაჭვულობის“ მოხსნა) და დე-პოლიტიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნება მისი ტრანსფორმაცია.

7. კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესის ერთ-ერთი მემფერხბელი ფაქტორი იყო ასევე მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩართული ქართველი და აფხაზი აქტივისტების მიერ პროცესის მნიშვნელობის გაუაზრებლობა და მისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. ამ პროცესში ჩართული აფხაზი მონაწილეები მუდმივად ცდილობენ ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგი გამოიყენონ საერთაშორისო დონეზე აფხაზეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად<sup>103</sup>. აფხაზი მონაწილეების მხრიდან ასეთი დამოკიდებულების არსებობას განაპირობებს საკუთარი პოზიციების დასაფიქსირებლად სხვა საერთაშორისო ალტერნატიული ფორმატების სიმცირე. იგივე შეიძლება ითქვას ქართველ მონაწილეებზეც, თუმცა, რასაკვირველია, უფრო მცირე დოზით, რამდენადაც ქართველებს აქვთ შესაძლებლობა სხვა ფორმატე-

ბისა და არენის საშუალებით (მაგალითად, ოფიციალური დიპლომატიური საშუალებებით) გამოხატონ საკუთარი პოზიცია. ასეთი ვითარება ამცირებს ნდობას დიალოგის მონაწილეებს შორის, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება მშვიდობის მშენებლობისა — და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესზე. აუცილებელია სამოქალაქო დიალოგის მონაწილეებმა გააცნობიერონ, რომ ეს ფორმატი არ არის შესაბამისი საკუთარი პოზიციების საერთაშორისო არენაზე გასატანად, მეტიც, ასეთი ქმედებები ხელს უშლის პოზიტიურ ცვლილებასა და კიდევ უფრო ამტკიცებს „კონფლიქტზე მიჯაჭვულობის“ სინდრომს. სამოქალაქო დიალოგის პროცესი, კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიიდან გამომდინარე, დაფუძნებული უნდა იყოს კონფლიქტის მეორე მხარის ძირითადი მოთხოვნილებების, ინტერესების, შიშების გააზრებასა და ამაზე დაყრდნობით, საერთო მიდგომებისა და მოქმედებების სტრატეგიების ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც, ზემოთ აღნიშნული ფაქტორი მიგვაჩინა მნიშვნელოვან გამოწვევად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის.

გარდა ამისა, არსებობს საგარეო პოლიტიკური ფაქტორებიც, რომლებიც ხელს უშლის კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროგრესს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთის ფედერაციის დესტრუქციული როლი. თუმცა ამ კვლევის ფორმატში ვერ მოხერხდა ასეთი ტიპის დაბრკოლებების ანალიზი და ამ საკითხის გარკვევა დამატებითი კვლევის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროგრესს. კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებული არიან მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე. რასაკვირველია, ნაშრომს ვერ ექნება პრეტენზია სრულყოფილებაზე, თუმცა იმედი გვაქვს, რომ იგი იქნება ხელშემწყობი ფაქტორი არსებული პრობლემების გააზრებისა და ხელს შეუწყობს მათ კვალიფიციურად გადაჭრას. ასევე, იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს კვლევა გამოიწვევს საზოგადოებრივ დისკუსიებსა და წახალისებს ახალი ნაშრომებისა თუ იდეების შექმნას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ.

<sup>103</sup> „ასეთი ფაქტები რას კვირველია ხდებოდა, თუმცა აფხაზი მონაწილეები ძირითადად აფხაზი მონაწილეები იყვნენ კარგად მომზადებულები და დისკუსიები ქართველ მონაწილეებთან შეეხებოდა თემების ფართო სპექტრს. გარდა ამისა აფხაზი მონაწილეები საერთაშორისო მონვეულ ექსპერტებთან ხშირად აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას აფხაზეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, თუმცა უფრო მეტად ისინი აქცენტირებას აკეთებდნენ უფრო დიდ საერთაშორისო ჩართულობას აფხაზეთში, კერძოდ ადვოკატირებას უკეთებდნენ ევროკავშირის სტრატეგიას „ჩართულობა არალიარების გარეშე“. რასაკვირველია, ჩართულობას აღიარება უნდა მოჰყოლოდა, თუმცა პირველ ეტაპზე მიზანი იყო აფხაზეთის დეიზოლოაცია და აფხაზური საზოგადოებისთვის ახალი ჰორიზონტების გაჩენა, რათა აფხაზურ საზოგადოებას ჰქონოდა არჩევანის უფრო ფართო არეალი და არამხოლოდ რუსეთი“, ჯონათან კოენი, („შერიგების რესურსები“, პროგრამების დირექტორი).

## რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია სამოქალაქო სექტორის შიგნით დაფუძნდეს საქართველოში მოღვაწე მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციებისა და მშვიდობის აქტივისტების საბჭო, რომელიც ხელს შეუწყობს მათ შორის კოორდინაციის ამაღლებას და საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას.
2. აუცილებელია მომზადდეს კადრები ლობირებისა და ადვოკატირების სტრატეგიებში და მოხდეს მათი გადამზადება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში (ეს უშუალოდ ეხება მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციებს და მათ ადგილობრივ წარმომადგენლებს), რათა სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულმა ხედვებმა და რეკომენდაციებმა სათანადო ასახვა ჰპოვოს მთავრობის გადანყვეტილებებში.
3. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებმა პერიოდულად ჩაატარონ კონფლიქტის ხელახალი ანალიზი, რათა მათ მიეცეთ საშუალება თვალი ადევნონ კონფლიქტის **დინამიკას** (აქ იგულისხმება პოლიტიკური კონტექსტის ცვლილებაზე მუდმივი მონიტორინგის ორგანიზება, რაც ხელს უწყობს რელევანტური მიდგომების ჩამოყალიბებას).
4. აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მოხდეს ისეთი ინსტრუმენტის ინიცირება და ადვოკატირება, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო დააფინანსებს კვლევებს (მათ შორის კონფლიქტების შესახებ)<sup>104</sup>.
5. მიზანშეწონილია ქართულ-აფხაზური დიალოგის ფორმატში განხორციელებული თითოეული შეხვედრის შემდგომ მოხდეს ინფორმაციის განთავსება მედიაში, გარდა ამისა, პარალელურად მომზადდეს შეხვედრები უნივერსიტეტებში და გაიზარდოს შეხვედრების რაოდენობა რეგიონებში.
6. საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიმუშაონ სტრატეგია რომლის საშუალებით მოხდება მედია საშუალებების მონიტორინგი კონფლიქტური რეგიონების გაშუქების კუთხით (ეს ხელს შეუწყობს მედიაში დესტრუქციული და დეზინფორმაციული სიუჟეტებისა თუ სტატიების შემცირებას).

<sup>104</sup> „ერთადერთი ნაკლი, რომელიც გააჩნია ამ რეკომენდაციას არის ის რომ, ადვილი იქნება იმ კვლევის დისკრედიტირება, რომელიც დაფინანსებულია რომელიმე კონფლიქტის მხარის მიერ. სამწუხაროდ ასეა, რომ დაფინანსების წყარო არის ყოველთვის ეჭვის საგანი. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ, რომ ჰქონდეთ დაფინანსების სხვადასხვა წყარო მათ შორი ევროკავშირიდან, აშშ-ს მთავრობიდან, კერძო და სამოქალაქო ფონდებიდან, იმ მიზნით რომ ერთი მხრივ თავიდან აიცილონ მიკერძოებულობაში დადანაშაულება, მეორე მხრივ კი - ერთ დონორზე დამოკიდებულობა“, ჯულიეტ სკოფილდი - „საერთაშორისო განგამის“ ევრაზიის პროგრამების მენეჯერი.

7. აუცილებელია მოხდეს ქართულ აფხაზურ დიალოგში მედიის წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართვა.
8. მიზანშეწონილია განხორციელდეს მედიის წარმომადგენლებისთვის „სამშვიდობო ჟურნალისტიკაში“<sup>105</sup> ტრენინგების ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს გახლეჩილ საზოგადოებებში უარყოფითი სტერეოტიპების ნგრევას.
9. აუცილებელია ხელი შეეწყოს საქართველოში მშვიდობის მეცნიერების განვითარებას, რაც გულისხმობს წამყვან უნივერსიტეტებში შესაბამისი პროგრამების შექმნასა და საქართველოში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას, მათ შორის ევროპის უნივერსიტეტებში ქართველი სტუდენტების გაგზავნის საშუალებით.
10. მიზანშეწონილია ქართულ-აფხაზური დიალოგის პროცესში მოხდეს ახალი ადამიანური რესურსების ჩართვა, რაც მოგვცემს საშუალებას თავიდან ავიცილოთ სფეროს მონოპოლიზაციის პროცესი.
11. მშვიდობის მშენებლობის პროცესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი იქნება, თუ შეიქმნება რეგიონული „მშვიდობის ცენტრები“, სადაც მოხდება სამოქალაქო განათლებისა და კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების სწავლების ორგანიზება (ამ საქმიანობისთვის უმჯობესი იქნება, თუ გამოყენებული იქნება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსები).
12. გრძელვადიან პერსპექტივაში, კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებისთვის, აუცილებელია შემუშავდეს სპეციალური პროგრამები სკოლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მოხდება მოსწავლეებისთვის კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების მეთოდების სწავლება (ამ პროცესში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციები).

<sup>105</sup> „დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ თუ რა არის „სამშვიდობო ჟურნალისტიკა“. ბევრი ამბობს, რომ რაც საჭიროა ეს არის კარგი, პროფესიონალური ჟურნალისტიკა - და თუ ჟურნალისტიები არიან პროფესიონალები, ისინი არ აქეზებენ ზიზღს“, ჯონათან კოენი, („შერიგების რესურსები“, პროგრამების დირექტორი).

# დანართი 1

## შეფასების კრიტერიუმები

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიაში და, ზოგადად, მშვიდობის შემსწავლელ მეცნიერებაში არ არსებობს თეორიული ჩარჩო, რომელიც მოგვცემდა საშუალებას გაგვეზომა სამოქალაქო საზოგადოების როლი მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესებში. შესაბამისი კრიტერიუმების არარსებობა ართულებს დასკვნების გამოტანის პროცედურებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის საერთო კონტექსტის დანახვასა და ტენდენციების განსაზღვრას. ზოგადი სურათის

კრიტერიუმი	აღწერა	შეფასება
დიალოგი	ნეიტრალური და მშვიდობიანი სივრცის შექმნა დიალოგისთვის (პირდაპირი და არაპირდაპირი)	7
უარყოფითი სტერეოტიპები სნგრევა	მოახდინოს უარყოფითი სტერეოტიპების სნგრევა და აამაღლოს გახლეჩილ საოგადოებებში ურთიერთგაგება მონინაალმდეგე მხარეების მოთხოვნილებებისა და მოტივაციის გააზრების კუთხით	3
მთავრობაზე ზენოლა	მოახდინოს მთავრობაზე ზენოლა კონფლიქტის ძალადობრივი გზით დარეგულირების ალტერნატიული საშუალებების ძიების კუთხით	8
კონფლიქტის ანალიზი	ხელი შეუწყოს კონფლიქტის სისტემური ანალიზის პროცესს	7
საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	აამაღლოს გახლეჩილ საოგადოებების ცნობიერება კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ	2
ძალადობის ფორმების აღმოფხვრა (რეფორმები)	ხელი შეუწყოს სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე სტრუქტურული და კულტურული ძალადობის აღმოფხვრას	3
ახალი იდეების გენერირება	მოახდინოს ახალი იდეების გენერირება, რომელიც დაეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესის წარმართვაში	6



განუსაზღვრელობას კი კონფლიქტის დარეგულირების სფეროში მოღვაწე ინსტიტუციები გარდაუვალ წარუმატებლობამდე მიჰყავს.

**კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიიდან გამომდინარე, რთული ისაუბრო მრავალდონიანი დიპლომატიის ცალკეული რგოლის წარმატებაზე.** როგორც ადრე აღვნიშნეთ ეს გამომდინარეობს კონფლიქტის ფენომენის კომპლექსური ხასიათისა და ცვლილებების მიმართ არასტაბილური დამოკიდებულებიდან. მრავალდონიანი დიპლომატიის სეგმენტური ხასიათი, რომლის თითოეულ ელემენტს შორის არსებობს მნიშვნელოვანი მიმართებები, არ ექვემდებარება შეფასების ერთიან სისტემას. მიუხედავად სირთულისა, ჩვენ მაინც ვცადეთ ცალკე გამოგვეყო სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის გარკვეული მიღწევები, რომლებიც შეიძლება გარკვეული კუთხით წარმატებად ჩაითვალოს.

შედეგების შესაფასებლად გამოვყავით, როგორც ზოგადი მიზნები, რომლებიც გააჩნია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ასევე კრიტერიუმების ჩამოყალიბებისთვის გამოვიყენეთ კონფლიქტის ტრანსფორმაციის სფეროში არსებული თეორიული ჩარჩოები.

ჩამოთვლილ კრიტერიუმებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. მაგალითისთვის დიალოგის ფორმატის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციის საშუალებით მხარეებს შორის უარყოფითი სტერეოტიპების ნგრევა. თუმცა, შეფასების კრიტერიუმად მათი ცალ-ცალკე გამოყოფა გამოიწვია, იმ ფაქტორმა, რომ სტერეოტიპების ნგრევა შესაძლებელია, არა მხოლოდ დიალოგის წარმოების საშუალებით, არამედ, მაგალითად, შიდა-საზოგადოებრივი სემინარების ჩატარებით კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების შესახებ. გარდა ამისა, საკითხის მნიშვნელობის სიდიდე არის კიდევ ერთი დამატებითი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს ამ კრიტერიუმის კვლევის მეთოდში შეტანას.

## **1. ნეიტრალური და მშვიდობიანი სივრცის შექმნა დიალოგისთვის,**

როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს ეფექტური კომუნიკაციის განვითარება გახლენილი საზოგადოებების ყველა დონეს შორის, დაწყებული გადაწყვეტილების მიმღები პირებიდან, დამთავრებული სოციუმუს ქვედა ფენით (grassroots). დიალოგის ფორმატი ხელს უწყობს კონფლიქტით დაშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენასა და თავისუფალი კომუნიკაციის არსებობას.

დიალოგს შესაძლოა გააჩნდეს, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ხასიათი. პირდაპირი დიალოგის ფორმას წარმოადგენს:

1. სემინარები, რომლებიც მიმართულია პრობლემის გადაჭრაზე;
2. სასწავლო ვიზიტები;

3. სოციუმის სხვადასხვა ფენების შეხვედრები (საერთო სფეროს წარმომადგენლების შეხვედრა, მაგალითად, ექიმები, ჟურნალისტები, მასწავლებლები, ექს-კომბატანტები და სხვა).

არაპირდაპირი დიალოგის ფორმას წარმოადგენს:

1. მედია საშუალებები (ტელე- და რადიო გადაცემები, რომლის ტრანსლირების არეალი მოიცავს გახლეჩილი საზოგადოებების ორივე მხარეს, ასევე დიალოგი პრესის საშუალებით);
2. კვლევითი პროექტები (კვლევითი პროექტები, არის დიალოგის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც გახლეჩილის საზოგადოებების წარმომადგენლებს შორის ინტერაქცია ხორციელდება ტექსტების, კვლევების საშუალებით).

საზოგადოებებს შორის დიალოგის ფორმები შესაძლებელია ცდებოდეს აქ ჩამოთვლილ ინტერაქციის ხასიათს და საერთოდ არ გულისხმობდეს სამოქალაქო სექტორის ჩართულობას ამ პროცესში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ნათესავეებსა და ნაცნობებს შორის კომუნიკაცია სატელეფონო თუ სხვადასხვა სოციალური ქსელების გამოყენებით. თუმცა ჩვენ დიალოგის ფორმებზე საუბრისას აუცულებლად ვგულისხმობთ სამოქალაქო სექტორის მონაწილეობას, შესაბამისად, ასეთი სახის ურთიერთობები ამ კვლევის საგანს არ წარმოადგენს და არ განვიხილავთ.

დიალოგის პროცესის კულმინაციას წარმოადგენს კოოპერაციაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს სხვადასხვა პროექტების ერთობივ განხორციელებას.

## **2. მოახდინოს მთავრობაზე ზეწოლა კონფლიქტის ძალადობრივი გზით დარეგულირების ალტერნატიული გზების ძიების კუთხით**

პოსტ-კონფლიქტური საზოგადოებები ხასიათდებიან სენსიტიურობის მაღალი ხარისხით, რაც ზრდის მათი მანიპულირების საშუალებას. ხშირად მთავრობები, სარგებლობენ საზოგადოებაში არსებული განწყობით და იყენებენ მათ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისა და გახანგრძლივების მიზნით. მთავრობის ქცევა შესაძლებელია გულისხმობდეს მილიტარისტული პოლიტიკის წარმოებას, მონინაალმდევე მხარის დემონიზებასა და სხვა დესტრუქციულ აქტივობებს, რომელიც ამტკიცებს გადანყვეტილებების მიმღები პირების პოზიციებს და ასუსტებს სამშვიდობო პოლიტიკასა. ამკვიდრებს (ახალისებს) კონფლიქტის ძალადობრივი გზით გადანყვეტის კულტურას. სასურველის შესაძლებლად წარმოჩენა, არის ხელისუფლების საზოგადოებაზე ზემოქმედების ბერკეტი, რომელიც პოსტ-კონფლიქტური მოცემულობის პირობებში მეტად ძლიერია.

ასეთი რეალობის არსებობის შემთხვევაში საკანძო მნიშვნელობა გააჩნია სამოქალაქო სექტორის აქტიურობას სამშვიდობო პოლიტიკისა და ზოგადად იდეების პოპულარიზაციის კუთხით. ხელისუფლებაზე ზეგავლენა

შეიძლება ატარებდეს ე.წ. Watch-dog ტიპის ორგანიზაციების ზედამხედველობას, ასევე ძალადობრივი საშუალებების ალტერნატიული\_ ე.წ. მოგება-მოგებაზე დაფუძნებული ინიციატივების შეთავაზებას.

### **3. მოახდინოს უარყოფითი სტერეოტიპების ნგრევა და აამაღლოს გახლჩილ საზოგადოებებში ურთიერთგაგება მონინაალმდეგე მხარეების მოთხოვნილებებისა და მოტივაციის გააზრების კუთხით**

უარყოფით სტერეოტიპების ნგრევაში მოიაზრება იმ ნეგატიური განზოგადებების ცვლილება, რომელიც არსებობს კონფლიქტურ საზოგადოებებში და, რომლებიც ქმნიან უარყოფით ალქმებს „მონინაალმდეგე“ საზოგადოების შესახებ. ნეგატიური სტერეოტიპიზაცია არის შედეგი კონფლიქტოგენური გარემოსთვის დამახასიათებელი პოლარიზაციისა, როცა ხდება ჯგუფის დეინტეგრაცია და „ჩვენ“ და „ისინი“ ფენომენების წარმოქმნა. დეპოლარიზაცია ანუ უარყოფითი სტერეოტიპების მინიმიზება შესაძლებელია „მშვიდობის მშენებლობის ორგანიზაციების“ აქტიური ჩართულობის საშუალებით, რომელიც გულისხმობს, როგორც სასწავლო, ასევე საინფორმაციო სამუშაოების ჩატარებას პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში. ამ კუთხით, ასევე აღსანიშნავია, დიალოგის ფორმის პროექტების განხორციელება, რომელიც ამცირებს „მტრის ხატისა“ და „დეკუმანიზაციის“ ფენომენების არსებობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, როცა საქმე ეხება ფართომასშტაბიან ეთნიკურ კონფლიქტებს, დიალოგის ფორმის პროექტების შესაძლებლობები მცირდება, რადგან შეუძლებელია ადამიანების ასეთი დიდი რაოდენობის შეხვედრების ორგანიზება. ამიტომ, სტერეოტიპების ნგრევისა და გახლჩილ საზოგადოებებში ნდობის ამაღლების კუთხით არსებულ სამუშაოს უნდა გააჩნდეს მრავალმხრივი ფორმები, რომელიც მოიცავს, როგორც დიალოგს, ასევე ინტრა - საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარებას.

### **4. ხელი შეუწყოს კონფლიქტის სისტემური ანალიზის პროცესს**

კონფლიქტის ტრანსფორმაცია შეუძლებელია განხორციელდეს კონფლიქტის მიზეზების ობიექტური ანალიზის გარეშე. კონფლიქტის ღრმა და სისტემური ანალიზი იძლევა მისი რეალური მიზეზებისა და დგენის საშუალებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მხარეების მიერ საკუთარი შეცდომების გაცნობიერებასა და მონინაალმდეგე მხარის დემონიზაციის ტენდენციების შემცირებას. სამოქალაქო საზოგადოების როლი, ამ შემთხვევაში, დავინროვდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობით, რომელიც ახორციელებენ კონფლიქტის დინამიკისა და მიზეზების მუდმივ და სისტემურ ანალიზს. განსაკუთრებით ღირებულია ანალიზის ის ფორმები, რომელიც ხორციელდება დაპირისპირებული მხარეების საექსპერტო საზოგადოებების მიერ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი ეფექტის მისაღწევად აუცილებელია განხორციელებული კვლევების გავრცელება საზოგადოების ფართო ფენებში.

## **5. აამაღლოს გახლეჩილი საოგადოებების ცნობიერება კონფლიქტის მშვიდ ოზიანი დარეგულირების შესახებ.**

კონფლიქტის რაობაზე საუბრისას, უკვე არაერთხელ ავლნიშნეთ ამ ფენომენის პერმანენტულობის შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებში. კაცობრიობას საუკუნეების მანძილზე დაუგროვდა გარკვეული გამოცდილება კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ – სხვადასხვა კულტურებში არის ასახული კონფლიქტების მოწესრიგების სხვადასხვა მშვიდობიანი ფორმები, რაც არის საფუძველი თანამედროვე კონფლიქტოლოგიისა. თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში მიმდინარე პროცესებმა ეჭვქვეშ დააყენა საზოგადოებების მზაობა კონფლიქტების მიმართ მშვიდობიანი მიდგომების არსებობის კუთხით. მეტიც, ამ პერიოდმა ნათლად დაანახა ყველას, რომ საზოგადოებები, არა თუ მზად იყვნენ კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისთვის, არამედ მიისწრაფოდნენ ძალადობისა და სისხლისღვრისკენ. დადგა იმის აუცილებლობა, რომ შექმნილიყო ისეთი ფორმატები, რომლებიც აამაღლებდნენ ადამიანებში კონფლიქტთან ურთიერთობის მშვიდობიან კულტურას. საზოგადოებაში ასეთი კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი გააჩნია არასამთავრობო თუ სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. მათი როლი შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი პუნქტობრივი ფორმით:

ა) მოახდინოს კონფლიქტოგენურ საზოგადოებებში კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით დარეგულირების ფორმების კულტივირება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ე.წ. „სამშვიდობო განათლების“ საშუალებით (სემინარები, ვორქშოპები, რომელიც მიმართული ტოლერანტული და პლურალისტული გარემოს ჩამოყალიბებისთვის)

ბ) პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში ძალადობის შედეგად მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმების რეაბალიტაცია, რომელიც გულისხმობს არამხოლოდ ფსიქოლოგიურ დახმარებას, არამედ საკუთარი პრობლემების ადეკვატური გააზრებისა და მათი მშვიდობიანი გზით გადაჭრის წახალისებას.

**6. ხელი შეუწყოს სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე სტრუქტურული და კულტურული ძალადობის აღმოფხვრას, ხელი შეუწყოს ძალადობის (კულტურული, სტრუქტურული, პირდაპირი) ფორმების აღმოფხვრას.**

**7. მოახდინოს ახალი იდეების გენერირება, რომელიც დაეხმარება გადანყვეტილებისო: მიმღებ პირებს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესის წარმართვაში.**

ცხრილი 1.1 პირველი, მეორე და მესამე დონის აქტორები და მათი სტრატეგიები

აქტორები	პირველი დონე	მეორე დონე	მესამე დონე
სტრატეგიები	<p>ორიენტირებულია შედეგზე:</p> <p>დაწყებული ოფიციალური და იძულებითი ზომებით (სანქციები, არბიტრაჟი, სამხედრო შუამავლობა), დამთავრებული არაიტულებითი ზომებით (ფასილიტაცია, მოლაპარაკებები, შუამავლობა, ფაქტების დამდგენი მისიები და ეთელი სამსახური)</p>	<p>ორიენტირებულია პროცესზე:</p> <p>არაოფიციალური და არაიძულებითი ზომები, ძირითადად ფასილიტაცია და კონსულტირება, რომელიც ხორციელდება პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სემინარებისა და მრგვალი მაგიდის ფორმით</p>	<p>ორიენტირებულია პროცესზე და/ან სტრუქტურაზე:</p> <p>ადგილობრივი პოტენციალის განვითარება, ფსიქოლოგიური ტრავმების განკურნება, ტრენინგების ჩატარება ქვედა დონეზე</p> <p>ადგილობრივი მოსახლეობისთვის, განვითარება და ადამიანის უფლებების დაცვა</p>

შენიშვნა: ცხრილი აღებულია, Assessing the State-of-the-Art in Conflict Transformation , Cordula Reimann, The Berghof Handbook for Conflict Transformation.

ქართულ აფხაზური დიალოგი („შლაინინგის პროცესი“)		
ვორქშოპი 1	თებერვალი, 2000	შტადშლაინინგი, ავსტრია
ვორქშოპი 2	ივნისი, 2000	შტადშლაინინგი, ავსტრია
ვორქშოპი 3	ნოემბერი, 2000	ბად შცჰნალბაცკ, გერმანია
ვორქშოპი 4	მარტი, 2001	პოტსდამი, გერმანია
ვორქშოპი 5	ივლისი, 2001	ბერლინი, გერმანია
ვორქშოპი 6	დეკემბერი, 2001	ბერლინი, გერმანია
ვორქშოპი 7	აპრილი, 2002	შტადშლაინინგი, ავსტრია
ვორქშოპი 8	ივლისი, 2002	პერშინგი, გერმანია
ვორქშოპი 9	ნოემბერი, 2002	ბერლინი, გერმანია
ვორქშოპი 10	აპრილი, 2003	ჰამბურგი, გერმანია
ვორქშოპი 11	ივლისი, 2003	ბერლინი, გერმანია
ვორქშოპი 12	დეკემბერი 2003	შტადშლაინინგი, ავსტრია
ვორქშოპი 13	მაისი 2004	ბერლინი, გერმანია
ვორქშოპი 14	აპრილი, 2005	ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი
ვორქშოპი 15	ივლისი/აგვისტო, 2005	ვენა, ავსტრია
ვორქშოპი 16	ნოემბერი, 2005	ბერლინი, გერმანია
ვორქშოპი 17	მარტი, 2006	ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ვორქშოპი 18	ივნისი, 2006	შტადშლაინინგი, ავსტრია
ვორქშოპი 19	დეკემბერი, 2006	ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ვორქშოპი 20	ივლისი, 2007	ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

## დანართი 2

### ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დიალოგში ჩართული ახალგაზრდების მიმართვა

#### სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 15 ოქტომბერს მიიღო დადგენილება №320 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების შესახებ. დადგენილება არეგულირებს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობის წესებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში. ახალგაზრდები, რომლებიც ჩართულნი ვართ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის პროცესში, მივიჩნევთ, რომ ამგვარი ინიციატივა პირდაპირ ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოების იდეას და შეუძლებელს ხდის ნდობის აღდგენისაკენ მიმართულ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ სამოქალაქო დიალოგსა და ერთობლივ ინიციატივებს.

აღნიშნული დადგენილება ქმნის სამოქალაქო საზოგადოებაზე კონტროლის მექანიზმს, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატს აძლევს საშუალებას თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ნდობის აღდგენისაკენ მიმართული ნებისმიერი საზოგადოებრივი ინიციატივა. პროექტის განხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანხმობის მოპოვების ვალდებულება, რომელიც მინისტრის ბრძანებით ფორმდება, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების სამოქალაქო ინიციატივებს სახელმწიფო ინიციატივებზე აქცევს. ეს თავისთავად ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოების იდეას, რაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა.

გარდა ამისა, ამ დოკუმენტის მიხედვით სახელმწიფო მინისტრის აპარატი უფლებამოსილი იქნება ნებისმიერ დროს ნებისმიერ ეტაპზე შეაფერხოს მიმდინარე თუ ახალი პროექტები, თუ ისინი არ შეესაბამება საქართველოს ხელისუფლების პოზიციებსა და მიდგომებს. მაგალითისთვის, სამშვიდობო პროექტების განხორციელებისათვის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს მოთხოვნა, რომ ურთიერთობების აღდგენის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები და მხოლოდ ამ ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობა. მიგვაჩნია, რომ ეს არამართებული მიდგომაა, რადგან არადევნილი საზოგადოების მონაწილეობას კონფლიქტის დარეგულირების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზებს, ოსებსა და მთელი საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისათვის. დაუშვებელია ამ პროცესებში ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ჯგუფის აქტიური ჩართვა და დანარჩენი საზოგადოების ნდობის აღდგენის პროცესებიდან მოწყვეტა.

ასევე, მიგვაჩნია, რომ ეს დადგენილება ხელს შეუშლის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის პროცესს. მაშინ როდესაც,

ოფიციალურ მოლაპარაკებებს ჯერ რამე კონკრეტული შედეგი არ მოუტანია, ნათელია კონფლიქტების მოგვარებაში არაფორმალური დიალოგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა. მაგრამ ამ დადგენილებით მივიღებთ მხოლოდ უკუშედეგს: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრთ პრინციპულად შეუძლებლად მიაჩნიათ ისარგებლონ საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული, თუნდაც საკმაოდ პრაგმატული შესაძლებლობებით (რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიერ დამტკიცებული პროექტები, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, საქართველოს მოქალაქის პასპორტი და სხვ.), რაც გამოწვეულია ამ რეგიონების მოსახლეობის უნდობლობით საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ჩვენთვის, როგორც ამ პროცესებში ჩართული ადამიანებისათვის, კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო მინისტრის მიერ ბეჭედ-დასმული პროექტების განხორციელება და მათში მონაწილეობა აფხაზი და ოსი პარტნიორებისათვის მიუღებელი იქნება და ამის პრევენტები უკვე არსებობს. შედეგად, ასეთი დებულებები საფრთხეს უქმნის ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური ინიციატივების არსებობას.

ჩვენი აზრით, უნდა გაიმიჯნოს საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო პროექტები სახელმწიფო ინიციატივებისგან, რათა ქართველებმა აფხაზეთან და ოსებთან კონსტრუქციულ გარემოში, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეძლონ დიალოგის წარმართვა. სხვა შემთხვევაში, ვფიქრობთ, შედეგზე ორიენტირებული დიალოგი წარმოუდგენელია.

ამისათვის უმნიშვნელოვანესია, არ მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან სამშვიდობო და სამოქალაქო ინიციატივებში ჩარევა, რათა თავიდან ავიცილოთ აფხაზი და ოსი პარტნიორების კიდევ უფრო გაუცხოება და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისათვის უნდობლობის გაღრმავება.

ჩვენთვის ყველაზე მთავარი და პრობლემატური ის სავალალო შედეგია, რომელიც დიდი ალბათობით შეიძლება მოჰყვეს ზემოხსენებულ პროცესებს. არსებობს აფხაზებისა და ოსების იზოლაციის საკმაოდ დიდი საფრთხე, რის შედეგაც ჩვენი ხალხები სხვადასხვა მიმართულებით განვითარდებიან და საბოლოოდ დაიკარგება ჩვენი დამაკავშირებელი ღირებულებები და ამით მომავალში ჩვენი მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაძლებლობა. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ იზოლაცია ხსენებულ რეგიონებს სულ უფრო მეტად აკავშირებს რუსეთს და შესაბამისად, ამ რეგიონებში უალტერნატივო იქნება რუსიფიკაცია და რუსეთში დომინირებული კვაზი-ღირებულებების გავრცელება.

მართებულად მიგვაჩნია, ხელისუფლებამ ძალადაკარგულად გამოაცხადოს დადგენილება №320 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების შესახებ, რომელიც, ერთი მხრივ ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოების იდეას და მისი ამოქმედება მიუღებელია დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუშლის მომავალში ქართული, აფხაზური და



ოსური სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში.

ვფიქრობთ, ხსენებული დოკუმენტის გაუქმება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ხელისუფლებისადმი ნდობის აღდგენის პროცესს და კონფლიქტური რეგიონების მკვიდრთათვის საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული გარანტიების ამოქმედების შესაძლებლობას. ამ ქმედებით საქართველოს ხელისუფლება ასევე შეძლებს აღიდგინოს შელახული საერთაშორისო იმიჯი, რაც სწორედ ამ დადგენილების მიღებას მოჰყვება. ცნობილია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება ამ დოკუმენტის მიმართ არ არის პოზიტიური.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მოცემული დადგენილება მიღებულ იქნა საჯარო განხილვების გარეშე, განსხვავებით საქართველოს *ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის* შემუშავებაზე არსებული პოზიტიური პრეცედენტისგან. ზემოხსენებული დადგენილების მზადების შესახებ ადგილობრივი ორგანიზაციები და დაინტერესებული პირები ინფორმირებული საერთოდ არ ყოფილან, მაშინ როდესაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი დისკუსიებს მართავდა დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან იგნორირებულია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების აზრი.

განხილული დადგენილების გაუქმებასთან ერთად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის პროცესში ჩართული ახალგაზრდები მივესალმებით საქართველოში მოქმედ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად ფართომასშტაბიანი დიალოგის დაწყებას კონფლიქტების დარეგულირების საკითხებზე.

თარიღი: 8 დეკემბერი, 2010 წელი

## კვლევის რესპონდენტები:

**მირა სოვაკარი** - „შერიგების რესურსების“ კავკასიური პროექტების მენეჯერი;

**ჯონათან კონი** - „შერიგების რესურსები“, პროგრამების დირექტორი.

**თინათინ ასათიანი** - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, პროექტ „ჩართულობა დიალოგის გზით“ კოორდინატორი ქართული მხრიდან;

**თინათინ ლოლელიანი** - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, კვლევებისა და ანალიზის განყოფილება;

**პაატა ზაქარეიშვილი** - კონფლიქტებისა და ნაციონალიზმის კვლევის ცენტრი, („შლაინინგის პროცესის“, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ასპექტების“, „ახალგაზრდული დიალოგის პროექტის“ – კოორდინატორი ქართული მხრიდან);

**ნინო კალანდარიშვილი** - კონფლიქტებისა და ნაციონალიზმის კვლევის ცენტრი, „ახალგაზრდული დიალოგის პროექტის“ (შერიგების რესურსები) ადგილობრივი კოორდინატორი

**კოტე ჩოკორაია** – ახალგაზრდული ორგანიზაცია „პირველების“ ხელმძღვანელი, „ახალგაზრდული დიალოგის პროექტის“ მონაწილე (შერიგების რესურსები)

**ჯულიეტ სკოფილდი** - „საერთაშორისო განგაშის“ ევრაზიის პროგრამის მენეჯერი

**ივლიანე ხაინდრავა** - პროექტ „დიალოგი კვლევის გზით“ („საერთაშორისო განგაში“) მონაწილე-მკვლევარი

**მედეა ტურაშვილი** - კრისიზების საერთაშორისო ჯგუფის მკვლევარი, ახალგაზრდული პროექტის „ჩართულობა დიალოგის“ გზით მონაწილე

**მამუკა ყუფარაძე** - ასოციაცია „სტუდია რე“-ს თავჯდომარე, ფილმის „ნების არქონა“ რეჟისორი

**გიორგი შაიშმელაშვილი** - კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლის“ სამშვიდობო პოლიტიკისა და უმცირესობათა ინტეგრაციის პროგრამის კოორდინატორი, „ახალგაზრდული დიალოგის პროექტისა“ (Conciliation Resources) და „დიალოგი ჩართულობის გზით“ მონაწილე (IKV Pax Christi, Berghof Peace Support);

**იულია ხარაშვილი** - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ დირექტორი;

**გიორგი კანაშვილი** - კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის - „კავკასიური სახლის“ დირექტორი, „ახალგაზრდული დიალოგის პროექტისა“ (Conciliation Resources) და „დიალოგი ჩართულობის გზით“ მონაწილე (IKV Pax Christi, Berghof Peace Support);

**ლალი დევიძე** - „ახალგაზრდული დიალოგის პროექტისა“ (Conciliation Resources) და „დიალოგი ჩართულობის გზით“ მონაწილე (IKV Pax Christi, Berghof Peace Support).

**CIVIL DIPLOMACY  
IN THE GEORGIAN-ABKHAZ CONFLICT**



**Association  
“Justice and Liberty”  
2011**

## **Editorial Board:**

Author:

**Tato Khundadze**

Editors:

**Tamar Kheladze  
Irakli Sesiashvili**

Translation:

**Lia Mamniashvili**

Editor of English Version:

**Vincent Boivin**

Technical Editor:

**Irakli Svanidze**

The publication was composed and made up in the Association “Justice and Liberty”



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდის მიზანშეწონილია საქართველოსთვის

Published with the financial support of  
the Open Society Georgia Foundation

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

---

© 2011. Association “Justice and Liberty”

## Executive Summary

Within the project “Civil Society and Conflict Transformation” implemented with the financial support of the “Open Society Georgia” Foundation, the Association for “Justice and Freedom” conducted a research on Civil Diplomacy in the Georgian-Abkhaz Conflict. The project aimed at exploring existing civil initiatives striving to transform the Georgian-Abkhaz conflict and raising public awareness through the publication and promulgation of the research’s results. The main purpose of the research was to provide answers to the following questions: what was the reason for the disruption of the conflict transformation process in Georgia and why was the transformation not successful? Was it or not a result of irrelevant actions of the Georgian Government and civil society?

The present research is based on the analysis of local and international peace building organizations’ work and interviews conducted with surveyed experts (total of 15 respondents). For the present research, we have also used the focus group method in which five experts were involved. The research identifies the main reasons for the disruption of the conflict transformation process. The research also contains recommendations for civil society organizations that are based on the results and main findings of the research.

The present research is mainly targeted towards civil society organizations that are engaged in the peace building process in Georgia. The research may also be interesting for the Government, international institutions and interested individuals who are working on issues related to the Georgian-Abkhaz conflict.

We hope that the present research will trigger a public discussion and will encourage the generation of new ideas and efforts regarding the transformation of the Georgian-Abkhaz conflict.

# Chapter I

## Introduction

Civil actors and their role in the transformation of conflicts is one of the most interesting research topics in conflict and peace studies.

The interest towards this topic has significantly increased after the collapse of the Soviet Union, which was followed by a generation of conflicts of a “new type”. The collapse of the huge empire caused irreversible developments within the newly created states, which were manifested by secessionist movements becoming active and by harsh resistance between governing elite groups. The Soviet Republics’ aspirations for independence and active ethnic nationalist movements exacerbated the fear within minority ethnic groups and deepened the alienation towards “titular” nations. Russia, where the hope for maintaining the empire was still alive, used the above-mentioned collisions for its own benefit. As a result, five conflicts of the “new type” were generated in the post-Soviet area, with a tremendous human cost, hundreds of thousands of Internally Displaced Persons (IDP) and a risk of conflict renewal<sup>1</sup>.

The bipolar international system of the Cold War period determined the types and characteristics of the world’s conflicts. An ideological confrontation between the two poles of the system generated hot spots worldwide that evidently, in the first place, derived from the two adverse states’ desires to increase and further spread their influence. Within this setting, ideological approaches were used as instruments for conflict management<sup>2</sup>.

Occurrences of the “new type” of conflicts that are significantly different from the resistance movements of the cold war period created the need for the development of new conflict resolution approaches.

In the modern world, with an increased interdependence of states where a process of globalization has become irreversible, the influence of non-governmental actors in the political decision-making process is becoming increasingly evident.

